ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

akhalitaoba.ge

ორშაბათი, 17 ივლისი, 2023 | №138 (9174) | ფასი: 80 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ფონიჭალაში ცოლად შერთვის მიზნით, ბიჭმა არასრულწლოვანი ბიძაშვილი მოიტაცა

გვ.5




# „ქოცებსა“ და ნაცებს ნუ გადაავაყოლებთ ქვეყანას!“

ლაშა ჩხარტიშვილი: „რუსული კვარტლები, უბნები გაჩნდა. თუ ამის წინააღმდეგ ახლავე არ დავიწყეთ ბრძოლა, მერე უკვე ძალიან გვიან იქნება“



გვ.3





## „ივანიშვილი სააკაშვილს პრეზიდენტს შეაწყალებინებს“



გვ.2

თაკო ჩარკვიანი: „ოსვენციმის ბანაკიდან გამოსულს ჰგავს სააკაშვილი. ნაწამები და გამჭრალია ეს ადამიანი. წამების სხვადასხვანაირი ფორმა არსებობს“



გვ.3

ვახტანგ მაისაია: „საქართველოს მაპის მიცემაზე უარი იმიტომ უთხრეს, ქვეყანაში მაშინ ავტორიტარული რეჟიმი იყო“

## „ნატომ კარგად, დიპლომატიურად მიგვანიშნა, ჩამოყალიბდით, საით მიდის თქვენი მთავრობაო“

## „ივანიშვილ-ბაჩიაშვილმა საქართველოს მოსახლეობის ხარჯზე „დაწერეს“ დიდი ფული და ახლა ერთმანეთში არჩევენ საქმეებს“



გვ.4

## „თუ უკრაინამ რუსეთი დაამარცხა, ნატოს წევრობა რაღაში დასჭირდება?!“




გვ.2



პენიტენციური სამსახური: მიხეილ სააკაშვილისგან აღებული ნიმუში პოლონელმა ექიმმა ქაღალდში გადაახვია და ცდილობდა მის მალულად გატანას ფეხსაცმლის მეშვეობით

გვ.5

**5** პროკურატურამ „ფორმულას“ ჟურნალისტისთვის ძალადობის ფაქტზე ერთ პირს ბრალდება წარუდგინა

**2** ბლინკენი: „პუტინის მოლოდინი, რომ დასავლეთი უკრაინის დახმარებას შეწყვეტს, მცდარია“

**5** კრემლმა თრუსოს ხეობას თვალი დაადგა

**6** რამდენ ხანს გაგრძელდება რუსეთ-უკრაინის ომი?

1993230720223

# „ივანიშვილი სააკაშვილს პრეზიდენტს შეაწყალებინებს“

## თაკო ჩარკვიანი: „ოსვენციმის ბანაკიდან გამოსულს ჰგავს სააკაშვილი. ნაწამები და გამქრალია ეს ადამიანი. წამების სხვადასხვანაირი ფორმა არსებობს“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს პარლამენტის დეპუტატი თაკო ჩარკვიანი პასუხობს.



***– ქალბატონო თაკო, ბოლო პერიოდია კვლავ აქტიურია თემა სააკაშვილის შეწყალებასთან დაკავშირებით. უკრაინის რადაში გაკეთდა ამის შესახებ განცხადება და ახლა ევროპარლამენტიც ითხოვს საქართველოს პრეზიდენტისგან მიხეილ სააკაშვილის შეწყალებას. „ქართული ოცნება“ კი გამალებით ესხმის თავს საქართველოს პრეზიდენტ სალომე ზურაბიშვილს. რა მოლოდინი გაქვთ, პროცესების როგორ განვითარებას ელით?***

– მე რომ ვამბობ, სააკაშვილი არის პუტინის პატიმარი-მეთქი, აბსოლუტურად გააზრებული მაქვს ეს ყველაფერი და იმიტომ ვამბობ. რაც უნდა ვერ აზროვნებდნენ ხელისუფლებაში, შეუძლებელია, არ იცოდნენ, რომ უზარმაზარია რუსეთის მარცხის მოლოდინი მთელ მსოფლიოში. შესაბამისად, მიხეილ სააკაშვილს იყენებენ როგორც სამომავლო იარალს, იმ შიშის შემთხვევაში, რომელიც ჩვენს ხელისუფლებას უთუოდ ელის რუსეთის მარცხის დროს. ეს კი არის ხალხის რისხვა. ასეთი წარმოუდგენელი სისასტიკე, მიშას მიმართ, განპირობებულია ისტერიული შიშის მოლოდინით. მათ ზუსტად იციან, რომ რუსეთი უეჭველად დამარცხდება, ამიტომ სააკაშვილს იარალად იყენებენ.

***– სავაჭროდ სჭირდებათ?***

– რა თქმა უნდა, სავაჭროდ სჭირდებათ. აქ ორი აზრი არ არის. ასე თავს იჭრიდე მთელ მსოფლიოში და შენი საკუთარი ქვეყნის პრეზიდენტს ამ დღეში აგდებდე, წარმოუდგენელია. ოსვენციმის ბანაკიდან გამოსულს ჰგავს ისეთ დღეშია. ნაწამებია ეს ადამიანი. წამების სხვადასხვანაირი ფორმა არსებობს, ამიტომ ტყუილად ნუ შემომედავება ვინმე. აღარ არის ეს ადამიანი, გამქრალია.

***– რას ფიქრობთ, რა გადაწყვეტილებას მიიღებს სალომე ზურაბიშვილი? შესაძლოა სააკაშვილიც შეიწყალოს?***

– არ ვიცი. სალომე ზურაბიშვილმა აბსოლუტურად ყველაფერი უნდა გააკეთოს იმისათვის, რომ მკვეთრად დადგეს დასავლეთის გზაზე. მე ერთი რაღაც მეიმედება, დღეს სალომე ზურაბიშვილს ვხედავ ბიძინა ივანიშვილის იარალად. მაინც მგონია, რომ ივანიშვილი ზურაბიშვილს შეაწყალებინებს. ის შეეცდება, ბოლომდე არ გაინადგუროს თავი დასავლეთთან, რადგან ზუსტად იცის, რომ განადგურებული რუსეთი მას ველარ უშველის. გამორიცხულია, საქართველო გადავიდეს რუსულ ორბიტაზე. ამას ქართველი ხალხი არ დაუშვებს. რაც უფრო დროზე მიხვდება, რომ სააკაშვილი უნდა გაუშვას, მით უფრო უკეთესი იქნება ივანიშვილისთვის.

***– დღეს სალაპარაკო მიეცა „ოცნებას“ პოლონელი ექიმების ინციდენტის გამო. თავად პოლონელ ექიმს რაში დასჭირდა ამის გაკეთება?***

– სიმართლე გითხრათ, მე ბოლომდე ვერ გავერკვიე რა ხდება. ოფიციალურად გამოტანის უფლება ჰქონდა. ალბათ, რომ დაინახა რა მდგომარეობაში იყო სააკაშვილი, ისიც ადამიანია, არ არის გამორიცხული, შოკში ჩავარდა. შოკის მომგვრელია, როდესაც სააკაშვილს დაინახავ. ის ექიმია და ექიმის ტვინმა მთლიანად პაციენტისთვის იმუშავა. როგორც ჩანს, იფიქრა, ვაი, თუ რაღაც მოხდეს, არ გამომატანონ ნიმუში და მოიქცა ისე, როგორც მოიქცა. მისთვის პირველი აღმოჩნდა ჰიპოკრატეს ფიცი და პაციენტი. მან დაინახა პაციენტი, რომელიც არის უკიდურესად მძიმე მდგომარეობაში.

***– ოფიციალურად ხომ მისცეს გატანის უფლება? დალუქეს და გამოიტანეს ნიმუში.***

– არ ვიცი დეტალები და ნიუანსები, ამიტომ მეტი არაფრის თქმა შემიძლია.

***– ქალბატონო თაკო, ბოლო პერიოდია აქტიურად საუბრობენ ოპოზიციის გაერთიანების შესახებ. ხელისუფლებისგან ათასგვარ ლანძღვა-გინებას ვისმენთ ოპოზიციის მისამართით. პრემიერის შეფასებებიც მოვისმინეთ, რომ დღეს აბსოლუტურად გაკოტრებულია ოპოზიცია, განულებულია და დეგრადირებული. ჩვენთვისაც უკეთესი იქნება თუ გაერთიანდებიანო. რას ნიშნავს ეს განცხადებები და რას იტყვით ოპოზიციის ერთობაზე?***

– ამას მხოლოდ იმიტომ ამბობს პრემიერი, რომ ყველაზე მეტად ოპოზიციის გაერთიანების ეშინია, თორემ ხომ არ იტყოდა?! კვდებიან, ისე ეშინიათ გაერთიანებული ძალის. სწორედ ამ გაერთიანებამ მოუტანა მათ უპირველესი მარცხი 2018 წელს, ერთად რომ იდგა ოპოზიცია. ეს მათ მწარედ ახსოვთ. მის მერე ვიძახი, რომ აუცილებელია ერთობა, რომელიც მაშინ მელიამ და ბოკერიამ თავზე დაგვალეწა. დღეს ეს აუცილებლად გასაკეთებელია. კვდებიან, ისე ეშინიათ ოპოზიციის გაერთიანების. დღეს, ოპოზიციიდან, ვინც გაერთიანებაზე არ ლაპარაკობს, ის წყალს ასხამს „ქართული ოცნების“ წისქვილზე. თუ ვინმეს ჰგონია, რომ ოპოზიციაში, „ოცნებისთვის“ შექმნილი, იაგო ხვიჩიას „გირჩი“ ბიძინა ივანიშვილსა და რუსულ ხელისუფლებაზე არ მუშაობს, ძალიან ცდება.

***– დღეს რამდენად გამოვა ოპოზიციის ერთობა? ცოტა ხნის წინ პრემიერობის კანდიდატად მიხეილ სააკაშვილს ასახელებდნენ. ახლა საუბარია გიორგი ვაშაძეზე, რატომ, რა მოხდა, რა შეიცვალა?***

– იცით რა, არ არის ვაშაძეზე საუბარი. მერწმუნეთ, ასეა. მე გადავამოწმე ეს ყველაფერი. არანაირი კონსულტაცია ამაზე არ ყოფილა. გიორგი ვაშაძე ძალიან პატიოსნად შეუერთდა ამ გაერთიანებას. მინუს ნაცები – ეს ფრაზა არც მას ხიბლავს, როგორც ჩანს, განსხვავებით „ლელოსგან“. გააზრებული გვაქვს ყველას, რომ მინუს ნაცები, ამ შემთხვევაში, არის მინუს 600 ათასი ამომრჩეველი. 25%-მდეა ამ წამს პარტიის რეიტინგი. რის საფუძველზე ამბობს მინუს ნაცებს 3%-იანი პარტია. მე კი ვამბობ, რომ არავის გარშემო, პარიტეტზე! პარიტეტზე გავერთიანდეთ, ვიდრე არ მოგვიგია ომი, თანაბარი უფლებებით და მერე, როდესაც მოვა პარტიული არჩევნები, კი ბატონო, ყველა ცალ-ცალკე წავიდეთ და ვისაც რა უნდა, ის გააკეთოს. თუ ჩვენ ვამბობთ, რომ რუსეთს ვებრძვით და, რა თქმა უნდა, ასეა. აგერ წალეკილია უკვე ქვეყანა. ბარები იხსნება და ქართულად არავინ ლაპარაკობს. მიწებს ყიდულობენ და იკანონებენ. პრაქტიკულად იყიდება ჩვენს თვალწინ საქართველო და რა დროს ამაზე ლაპარაკია. რა დროს პრემიერობაა! სირცხვილი არ არის ახლა კვოტების განაწილება?! ეს არის ჩვეულებრივი უვიცობა.

# „თუ უკრაინამ რუსეთი დაამარცხა, ნატოს წევრობა რაღაში დასჭირდება?!“



– ნატოს სამიტზე პირდაპირ განაცხადეს, რომ უკრაინა ნატოში ვერ შევა, სანამ რუსეთს არ დაამარცხებს. თუ უკრაინამ რუსეთი დაამარცხა, ნატოს წევრობა რაღაში დასჭირდება?! – ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა ჟურნალისტებთან განაცხადა.

როგორც მან აღნიშნა, ნატო, გაწევრიანების მიმართულებით, საქართველოზე 10-ჯერ დიდ ქვეყანასთან დაკავშირებითაც ვერ დგამს ქმედით ნაბიჯებს, რადგან მესამე მსოფლიო ომში ჩართვა მათ არ სურთ.

ირაკლი ღარიბაშვილის თქმით, იმით, რომ საქართველო ნატოს სამიტზე საგარეო საქმეთა მინისტრმა წარადგინა, ქვეყანას არაფერი დაუკარგავს.

– ზოგიერთ სიუჟეტს ბოლო კვირის განმავლობაში მართლა ღიმილით ვუყურებდი. იქ ნაჩვენები იყო, თითქოს ნატოს სამიტზე რაღაც სასწაული მოხდა, უკრაინამ დეოკუპაცია შეძლო, ომში გაიმარჯვა და საქართველო ამ ყველაფრის მიღმა აღმოჩნდა. რეალურად რა მოხდა? გარდა იმისა, რომ თქვეს, მაპი აღარ დასჭირდება, პირდაპირ განაცხადეს ისიც, რომ უკრაინა ნატოში ვერ შევა, სანამ რუსეთს არ დაამარცხებს. თუ უკრაინამ რუსეთი დაამარცხა, ნატოს წევრობა რაღაში დასჭირდება? ნატო უსაფრთხოების გარანტია და ჩვენ ამიტომაც მივისწრაფვით იმისკენ, რომ მათი წევრი გავხდეთ. ნატოში თქვეს, რომ ისინი მესამე მსოფლიო ომს ვერ დაუშვებენ და არ სჭირდებათ უკრაინა. ნატო, გაწევრიანების მიმართულებით, ჩვენზე 10-ჯერ დიდ ქვეყანასთან დაკავშირებითაც ვერ დგამს ქმედით ნაბიჯებს. ჩვენ, საქართველომ, ჯერ საკუთარ თავზე უნდა ვიფიქროთ.

სწორედ ამიტომ ავირჩიეთ სტრატეგიული მოთმინების პოლიტიკა, რათა ზედმეტი მოლოდინი არ შევქმნათ და ჩვენს ეროვნულ მიზანს თანმიმდევრულად მივყვეთ. მთავარი ამოცანაა, რომ ქვეყანა ნაბიჯ-ნაბიჯ მიყვეს გეგმას და სწორ დროს გახდეს ნატოსა და ევროკავშირის წევრი.

იმით, რომ ქვეყანა სამიტზე საგარეო საქმეთა მინისტრის ყოფნით წარმოჩინდა, საქართველოს არაფერი დაუკარგავს. ამის გარშემო ატეხილი აჟიოტაჟი სრულიად უსაფუძვლოა.

დღეს უკრაინის ხელისუფლების როლში ყოფნას არავის ვუსურვებდი. ძალიან რთულ მდგომარეობაში არიან, იბრძვიან აგრესორის წინააღმდეგ, – განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა.

– ჩემთვის გაუგებარია, უკრაინის ხელისუფლებას რატომ რჩება დრო, რომ ჩვენს შიდა პოლიტიკურ საკითხებზე გააკეთონ კონცენტრირება – ჯერ მიხედონ საკუთარ თავს, მიხედონ საკუთარ ქვეყანას, საკუთარი ტერიტორიების დეოკუპაციას. ჩვენ მივხედავთ ჩვენს ქვეყანას, – ირაკლი ღარიბაშვილმა უკრაინასთან დაკავშირებით განაცხადა.

ღარიბაშვილის თქმით, საქართველოს ხელისუფლებას აქვს თავისი ხედვა და გეგმა, რომელსაც თანმიმდევრულად მიჰყვება და მას არ სჭირდება არავის რჩევა და, მით უმეტეს, ჩარევა.

მთავრობის მეთაურის თქმით, რადას დეპუტატების მიმართვა სააკაშვილის შეწყალებასთან დაკავშირებით, მათი პოლიტიკის შემადგენელი ნაწილია.

როგორც ღარიბაშვილმა აღნიშნა, მათ არ სურთ, რომ საქართველოში იყოს ქვეყნისა და ხალხის ეროვნულ ინტერესებზე ორიენტირებული ხელისუფლება.

მან კიდევ ერთხელ მწუხარება გამოხატა იმასთან დაკავშირებით, რომ საქართველოს ელჩი უკრაინაში კონსულტაციების მიზნით ქვეყნიდან გამოუშვეს.

# ზელენსკი: „ომის დასრულების სიჩქარე პირდაპირ დამოკიდებულია უკრაინის გლობალურ მხარდაჭერაზე“



– ომის დასრულების სიჩქარე პირდაპირ დამოკიდებულია უკრაინის გლობალურ მხარდაჭერაზე. ყველაფერს ვაკეთებთ, რომ ასეთი მხარდაჭერა იყოს მაქსიმალურად ინტენსიური და შინაარსიანი, – ასე გამოეხმაურა უკრაინის პრეზიდენტი ვოლოდიმირ ზელენსკი მიმდინარე კონტრშეტევას და ბერდიანსკის ოლქში განვითარებულ ბოლო მოვლენებს.

ცნობილი ხდება, რომ ბერდიანსკის მიმართულებით უკრაინული ძალები წინ მიიწევენ. ბერდიანსკთან ინტენსიური ბრძოლები მიმდინარეობს. გასულ დღე-ღამის განმავლობაში უკრაინის თავდაცვის ძალებსა და ოკუპანტებს შორის 5 მიმართულებით 39 შეტაკება მოხდა.

– ახლა, როდესაც ომის დასრულების სიჩქარე პირდაპირ დამოკიდებულია უკრაინის გლობალურ მხარდაჭერაზე, ჩვენ ყველაფერს ვაკეთებთ, რომ ასეთი მხარდაჭერა იყოს მაქსიმალურად ინტენსიური და შინაარსიანი. უკრაინას არ შეუძლია დატოვოს არც ერთი უკრაინელი მოქალაქე, არც ერთი ქალაქი და სოფელი რუსეთის ტყვეობაში. არ უნდა გაგრძელდეს რუსული ოკუპაცია, ხალხზე ძალადობა და მათი დამცირება. მე მადლობელი ვარ ჩვენი პარტნიორის. ყველა ლიდერის ყველა პოლიტიოსის, საზოგადო მოღვაწის ყველა ქვეყნის, რომელიც ნამდვილად გვიჭერს მხარს, რათა სრული ძალით დავუბრუნდეთ საერთაშორისო წესრიგს, – განაცხადა ზელენსკიმ.

შეგახსენებთ, უკრაინის გენშტაბის ინფორმაციით ფრონტის ხაზის ყველაზე ცხელ წერტილებად კვლავ კუპიანსკის ლიმანის, ბახმუტის, ავდიივკასა და მარინკას მიმართულებით რჩება.

# ბლინკენი: „პუტინის მოლოდინი, რომ დასავლეთი უკრაინის დახმარებას შეწყვეტს, მცდარია“

ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის, ენტონი ბლინკენის თქმით, რუსეთის პრეზიდენტის, ვლადიმერ პუტინის მოლოდინი, რომ დასავლეთი უკრაინის დახმარებას შეწყვეტს მცდარია. როგორც ბლინკენმა აღნიშნა, ამის დასტური უკრაინისადმი გრძელვადიანი საერთაშორისო მხარდაჭერაა.



– უკრაინისადმი გრძელვადიანი საერთაშორისო მხარდაჭერა დასტურია იმისა, რომ რუსეთის პრეზიდენტის მოლოდინი, რომ დასავლეთი უკრაინის მხარდაჭერას შეწყვეტს, მცდარია.

და ეს არის ყველაზე სწრაფი გზა ამ ომის დასასრულებლად. რუსეთმა განიცადა დიდი დანაკარგები. ზიანი, რომელიც პუტინმა ქვეყანას მიაყენა, ძალიან დიდია. სამხედრო და ეკონომიკურად ისინი ბევრად სუსტები არიან, ვიდრე იყვნენ. მათი პოზიციები მსოფლიოში დაეცა, მილიონობით რუსმა დატოვა ქვეყანა, – თქვა ბლინკენმა.

როგორც ბლინკენმა აღნიშნა, ამ კვირაში ვილნიუსის სამიტზე ყველამ დაინახა, როგორ იღებდა ათობით ქვეყანა კონკრეტულ ზომებს, უკრაინის მხარდაჭერის გასაძლიერებლად.

ISSN 1987-9385
ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალაგაძე
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
სარეკლამო სამსახური – 599-532-690
გავრცელების სამსახური – მერაბ ლეჟერამბილი
ვებგვერდი: akhalitaoba.ge
ელ.ფოსტა: axtaoba@gmail.com
ტელეფონი: 599-532-690

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# „ქოცებსა“ და ნაცებს ნუ გადავაყოლებთ ქვეყანას!“

## ლაშა ჩხარტიშვილი: „რუსული კვარტლები, უბნები გაჩნდა. თუ ამის წინააღმდეგ ახლავე არ დავიწყეთ ბრძოლა, მერე უკვე ძალიან გვინ იქნება“

ნათია ხურცილავა

**„ლეიბორისტული პარტიის“ ერთ-ერთი ლიდერი, უფლებადამცველი ლაშა ჩხარტიშვილი „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.**

***– ლაშა, პრემიერ ღარიბაშვილის განცხადებით, დღეს ოპოზიცია გაკოტრებულია, განულებულია, დეგრადირებულია. რას უპასუხებდით?***

– ვინ, ვინ და ირაკლი ღარიბაშვილი ნამდვილად არ უნდა საუბრობდეს სხვის დეგრადირებაზე. ყოვლად მიუღებელია მისი მხრიდან ასეთი საუბარი. ივანიშვილმა ღარიბაშვილზე თქვა, რაც გინდათ ის დაუძახეთო. დიახ, მას არ აქვს ოპოზიციაზე ამის თქმის უფლება ამის შემდეგ.

გასაგებია, რომ ბიჭებს კიდევ ერთხელ სურთ ძალაუფლების მიტაცება. თითქმის იგივე თქვა კალაძემაც, რომელსაც სურვილი აქვს აწ და მარადის იყოს ხელისუფლებაში. თვითონ რომ არ იქნება, მერე შვილებს გადაულოცოს, მერე შვილიშვილებს. ბიჭების ეს სურვილები გასაგებია, მაგრამ ქართველ ხალხს არაფერს ეკითხებიან?! ხალხი რატომ გამორიცხეს. ისიც გასაგებია, რომ ავტოკრატიული რეჟიმები საკუთარ სურვილებსა და საკუთარ ხუშტურებზე რომ არის მოწყობილი, მაგრამ ასე ღიად აცხადებენ, რომ ავტოკრატები არიან?!

***– რეიტინგზე აკეთებენ აქცენტს.***

– რომელ რეიტინგზე, 20 პროცენტს ქვევით არის მათი რეტინგი. მე არ უარვყოფ, რომ ოპოზიციურ ფლანგზე ძალიან რთული მდგომარეობაა. ოპოზიცია ნამდვილად არ არის დალხენილ მდგომარეობაში, მაგრამ არც ისეა საქმე, რომ კალაძესა და ღარიბაშვილს კიდევ ერთხელ შეეძლოთ ძალაუფლების მიტაცება.

***– „ოცნება“ 2024 წლის არჩევნების მოგებაზე საუბრობს.***

– „ოცნება“ ამ არჩევნებს ვერ მოიგებს. თუ ოპოზიციამ ასე გააგრძელა და ხელი შეუწყო ყველაფერში, თუ ზურგი გაუმაგრა პარლამენტში, მაშინ ამ არჩევნებს კი არა, ყველა არჩევნებს მოიგებენ, მაგრამ დარწმუნებული ვარ, ოპოზიცია გავა ქუჩაში.

***– რა მოთხოვნით?***

– პირველ რიგში, შეიცვალოს საარჩევნო გარემო და საარჩევნო კანონმდებლობა. მოქმედი კანონმდებლობა ხელს აძლევს მხოლოდ იმ პარტიას, რომელიც ხელისუფლებაშია. 5-პროცენტიანი ბარიერი მხოლოდ „ქართულ ოცნებასა“ და ნაციონალურ მოძრაობას აწყობთ.

თუ ნაციონალური მოძრაობის მიზანი არის მუდმივად ოპოზიციაში ყოფნა და ივანიშვილისთვის ძალაუფლების შენარჩუნება, მაშინ არაფერი უნდა გააკეთონ, მაგრამ თუ მიზანი არის ცოტა უფრო მეტი, მაშინ ბარიერის დაწევაზე მათაც უნდა იბრძოლონ. მათაც უნდა დატოვონ პარლამენტი და ქუჩაში იბრძოლონ.

***– რითი უნდა აიძულოს ოპოზიციამ „ოცნება“, რომ ბარიერი დაწიოს?***

– მხოლოდ ერთადერთი გზით – ქუჩაში ძალის დემონსტრირებით. ხალხი თუ ქუჩაში გამოვა და იტყვის, რომ უნდათ წვრილ-წვრილ პარტიებს მიეცეთ შესაძლებლობა პოლიტიკურ პროცესში უფრო აქტიურად ჩართვის, მაშინ შეიძლება უკან დაიხიოს „ოცნებამ“.

„ოცნება“ და ნაციონალური მოძრაობა არ არის ეს ქვეყანა. მეტიც, ეს ორი პარტია ამ ქვეყნის წარსულია. არ შეიძლება მათ გადავაყოლოთ ქვეყანა. ის საშინელი სტატისტიკური მონაცემები, რომელიც მიგრაციასთან დაკავშირებით გამოქვეყნდა, როდესაც ასიათასზე მეტმა ადამიანმა ითხოვა ევროპასა და ამერიკაში თავშესაფარი, ეს ნიშნავს, რომ ხალხი საკუთარ მომავალს ვერ ხედავს ამ მთავრობის პირობებში. ადამიანებს ელემენტარული არსებობის უნარი არ აქვთ. თვიდან თვემდე თავი ვერ გააქვთ, ამიტომ გარბიან. სამაგიეროდ, რას ვხედავთ, რუსების შემოსევაა. უკვე რუსული კვარტლები, უბნები გაჩნდა. თუ ამის წინააღმდეგ ახლავე არ დავიწყეთ ბრძოლა, მერე უკვე ძალიან გვინ იქნება.



***– როგორც ჩანს, ოპოზიცია არაფრის შეცვლას აპირებს, თუნდაც წინასაარჩევნო ტაქტიკასთან დაკავშირებით. ყოველ შემთხვევაში, ჯერ არაფერი ჩანს.***

– აქციების გარეშე, ქუჩის პროტესტის გარეშე არაფერი გამოვა. მარტის აქციებმა აჩვენა, რომ ივანიშვილი მხოლოდ ერთადერთ შემთხვევაში იხევს უკან – ეს არის ხალხის ძალა.

რა თქმა უნდა, ესენი ისევ ეცდებიან ქოცნაცურ დაპირისპირებაში გადაიყვანონ ეს არჩევნები, რომ მოგება გაუადვილდეთ. ან ფსევდოკოალიციებზე წავა საუბარი. ასეც გააკეთებენ, მაგრამ ჩვენ, დანარჩენებმა, არ უნდა მივცეთ ამის შესაძლებლობა. რადგან ეს ყველაფერი იქნება ბლეფი. ამ ქვეყნის მომავალი არ უკავშირდება „ქართულ ოცნებას“, არც მის არანაირ დანაყოფს თუ განშტოებას.

თუ ძალაუფლების მიტაცებას კიდევ ერთხელ ეცდებიან ნებისმიერი გზით, მაშინ ეს ძალიან ცუდ პროცესებში გადაიზრდება. ამიტომ, ახლავე არის საჭირო ბრძოლა, რომ მერე უკვე გვიან არ იყოს.

# „ნატომ კარგად, დიპლომატიურად მიგვანიშნა, ჩამოყალიბდით, საით მიდის თქვენი მთავრობაო“

## ვახტანგ მაისაია: „საქართველოს მაპის მიცემაზე უარი იმიტომ უთხრეს, ქვეყანაში მაშინ ავტორიტარული რეჟიმი რომ იყო“

გულიკო ბალაძე

**„ახალი თაობის“ კითხვებს ექსპერტი სამხედრო-პოლიტიკურ და უსაფრთხოების საკითხებში ვახტანგ მაისაია პასუხობს.**

***– ბატონო ვახტანგ, ვილნიუსის სამიტზე უკრაინას ნატოში მიწვევა გაუუქმეს. ზელენსკი განაწყენებული იყო, რადგან ამ სამიტზე ქვეყნის ნატოში გაწევრიანებას ელოდებოდა. რამ გამოიწვია გაწევრიანებაზე უარის თქმა, რუსეთთან საომარ მოქმედებებში პირდაპირ ნატოს ჩართვის შეეშინდათ?***

– პირიქით, უკრაინას ნატოში მილების დამატებითი ბარიერი – მაპი გააუქმეს.

***– თუ ყველაფერი ნორმალურად იყო, ზელენსკი რატომ განაწყენდა?***

– ზელენსკი, პრინციპში, განაწყენებული არ იყო. ზელენსკიმ, უბრალოდ, აღნიშნა, რომ კარგი იქნებოდა, უკრაინა ნატოში მიეღოთ იმ ფონზე, რაც ახლაა. ნატომ სამი მნიშვნელოვანი მომენტი მიიღო: პირველი, უკრაინას ნატოს მაპის სტატუსი მოუხსნა და შვედეთისა და ფინეთის დონეს გაუთანაბრა;

მეორე, ნატომ უკრაინას სერიოზული სამხედრო დახმარების პაკეტი გამოუყო, რომელიც პროცესს დააჩქარებს და ნატოს სტანდარტებთან სამხედრო ტექნიკურ თავსებადობას სრულად უზრუნველყოფს;

მესამე, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ნატოს მთელმა ხელმძღვანელობამ უკრაინას სრული პოლიტიკური (ყველა კუთხით) სოლიდარობა გამოუცხადა და ნატო-უკრაინის საბჭო შექმნა.

***– გასაგებია, მაგრამ ეს მიღება არ არის. უკრაინა მიღებას ელოდებოდა.***

– მიღება არ არის, ცხადია, მაგრამ წინგადადგმული ნაბიჯია. მაგალითად, საქართველოს მაპი დაუტოვეს, უკრაინას მოუხსნეს. არის ვარიანტი, ვთქვათ, შემდეგ სამიტზე (ან უფრო ადრე) ვაშინგტონში უკრაინა ნატოს შემადგენლობაში მართლა მიიღონ.

***– თუ ჩვენ რუსეთის 2008 წლის საქართველოსთან ომს, ახლანდელ, უკრაინის ომის პერიოდს შევადარებთ, უკრაინას ომის პერიოდში შეპირდნენ, ომის შემდეგ ალიანსში გაგაწევრიანებთო. ჩვენ ომამდე მაპი არ მოგვცეს. ომის დამთავრების შემდეგ, ალბათ, რადგან წავაგეთ (რუსეთთან ომს პატარა საქართველო, ცხადია, წააგებდა, მით უმეტეს, ყოველგვარი დახმარების გარეშე), იარაღის შეძენაზე ემბარგოც კი დაგვიწესეს, რათა იარაღი არ შეგვესყიდა. ამერიკული იარაღის ქარხნებს საქართველოსთვის იარაღის მიყიდვა ეკრძალებოდათ. ემბარგო მხოლოდ 2014 წელს მოიხსნა.***

– აქ ერთი ნიუანსია. მაშინდელი საქართველოს მდგომარეობა უკრაინისაგან განსხვავდება. ჯერ ერთი, საქართველოს მაპის მიცემაზე უარი იმიტომ უთხრეს, საქართველოში მაშინ ავტორიტარული რეჟიმი იყო. გერმანელებმა ძალიან მკაფიოდ უთხრეს, რომ მიხეილ სააკაშვილის რეჟიმი დემოკრატიულ სტანდარტებს არ შეესაბამებოდა. მაშინ პირველად დააფიქსირეს,



რომ საქართველოში ავტორიტარული რეჟიმი იყო.

მეორე – ემბარგო სწორად დააწესეს, რადგან საქართველოსთან ომის პერიოდში, რუსებმა ხელში ჩაიგდეს ახალი სამხედრო ტექნოლოგიები, რაც მათ ხელში არ უნდა ჩავარდნოდათ.

შესაბამისად, ჩვენს დასავლელ პარტნიორებს სერიოზული ეჭვი ჰქონდათ იმაზე, რომ საქართველოს მაშინდელი ხელისუფლების შემადგენლობაში მოქმედებდნენ სერიოზული, პრორუსული, პოლიტიკური გავლენის აგენტები, რაც აბსოლუტურად დადასტურდა კიდეც. ეს იყო 2008 წლის ომის შემდეგ საქართველოსთვის ემბრაგოს დაწესების მთავარი მიზეზი.

მაშინ რუსეთმა ხელში ჩაიგდო ახალი, პროგრესული, სამხედრო ტექნოლოგიები, რომელიც რუსულ სახელმწიფოს მაშინ არ ჰქონდა. მაგალითად, უპილოტო საფრენი აპარატები, დრონები. დრონების ტექნოლოგია რუსებმა საქართველოს შეიარაღებული ძალების ბაზებიდან წაიღეს.

***– ამის შესახებ მსმენია. საინტერესოა, როგორ ჩაუვარდათ ხელში რუსებს დასავლეთიდან საქართველოში შემოტანილი ახალი სამხედრო ტექნოლოგია, თუ ვინმემ გამოიძია?***

– როგორ ჩაუვარდა ხელში ახალი ტექნოლოგიები ჩვენს მტერს? ეს რომ არავინ გამოიძია და ამაზე პასუხი არავის რომ არ მოეთხოვა, ეს ნატოელებისთვის საკმაოდ სერიოზული გამოწვევა იყო. აი, კონკრეტული მაგალითი, რისთვისაც მაშინ ამერიკამ საქართველოს ემბარგო დაუწესა.

***– ნიშანდობლივია, რომ ომის პერიოდში უკრაინა ნატოში არ მიიღეს. ერთ პერიოდში დასავლეთმა საქართველოში ნიადაგი მოსინჯა, ოკუპირებული ტერიტორიების გარეშე, ქვეყანა ნატოში მიღებას თუ დათანხმდებოდა. ცხადია, ამას ვერავინ დათანხმდებოდა. საქართველოს ტერიტორიები დღესაც ოკუპირებულია. რუსეთთან, ფაქტობრივად, ომისა და მცოცავი ოკუპაციის რეჟიმში ვართ, ყოველდღე ადამიანებს იტაცებენ, ალიანსში ვინ მიგვიღებს?***

– ეს იყო ზოგიერთი საერთაშორისო ექსპერტისა და ყოფილი საერთაშორისო ლობისტის ინიციატივა, ნატოს ინიციატივა არ იყო. თუმცა, აღნიშნული საკითხი, შეიძლება, ოფიციალურ დონეზე, საქართველო-ნატოს კომისიის ფარგლებში განიხილებოდა.

ყოველ შემთხვევაში, ყველა ვარიანტი ისინჯებოდა, რომ საქართველო როგორმე ნატოს წევრი გამხდარიყო და სამხედრო უსაფრთხოების კუთხით გარანტიები მიეღო.

უბრალოდ, უკრაინას დაუფიქსირეს კონკრეტული პრობლემები: კორუფცია, საზოგადოებრივი და სახელმწიფო უსაფრთხოების სისტემის სერიოზული რეფორმირებისა და ნატოსთან სამხედრო თავსებადობის სრული ჰარმონიზაციის საჭიროება.

სხვათა შორის, ნატო-უკრაინის საბჭოს შექმნით, ნატო და უკრაინა გარკვეულ საკითხებთან დაკავშირებით თანასწორუფლებიანი მოთამაშე-აქტორები გამოდიან, რაც სერიოზული პროგრესია. უკრაინისთვის მაპის მოხსნა იმის საშუალებას იძლევა, რომ უკრაინის ნატოში ინტეგრაციისთვის კონსულტაციები დაიწყოს, რაც სერიოზული მიღწევაა.

***– ნატო-საქართველოს კომისია აქამდეც ხომ არსებობდა?***

– ნატო-უკრაინის საბჭო და ნატო-საქართველოს კომისია ორი განსხვავებული რამ არის.

***– განსხვავება რა არის?***

– ნატო-უკრაინის საბჭო გაცილებით მაღალი დონეა. ნატო და უკრაინა, გარკვეულ საკითხებთან დაკავშირებით, როგორც სტრატეგიული პარტნიორები გადაწყვეტილებას თანასწორუფლებიან დონეზე მიიღებენ. ასეთივე საბჭოს შექმნის, ანუ ნატო-რუსეთის თანამშრომლობის იდეა, 2005 წელს, რომის დეკლარაციის საფუძველზე მიიღეს.

***– მაშინ შთაბეჭდილება შეიქმნა, რომ შეიძლებოდა რუსეთი ნატოს თავის რიგებში მიეღო.***

– აბსოლუტურად მართალი ხართ. ასეთი ტენდენცია იყო, მაგრამ მიუნხენის კონფერენციაზე პუტინმა თავისი ცნობილი გამოსვლის შემდეგ, ყველაფერი გააქარწყლა. რუსეთის ნატოში გაწევრიანების საკითხი 2007 წლამდე ძალიან ინტენსიურად, მკაფიოდ განიხილებოდა. ამაზე დადებით კონტექსტში საუბრობდნენ. კი ბატონო, გიდასტურებთ, ასეთი ტენდენცია შეიმჩნეოდა.

***– ანუ ვილნიუსის სამიტიდან გამომდინარე, შეიძლება ვთქვათ, რომ უკრაინას ნატოში მიიღებენ მას შემდეგ, რაც ომი დამთავრდება და მისი ტერიტორიების დეოკუპაცია მოხდება, ანუ საქართველოსაც მიიღებენ მაშინ, როდესაც ჩვენი ტერიტორიების დეოკუპაცია მოხდება? ე.ი. ქვეყნის დეოკუპაციის შემდეგაა შესაძლებელი საქართველოს ნატოში გაწევრიანება?***

– არა. არაა გამორიცხული, საერთოდ, ვაშინგტონის სამიტზე, გაისად, ნატომ ყოველგვარი პირობების გარეშე, ტერიტორიებისა და ოკუპაციის მიუხედავად, უკრაინა თავის შემადგენლობაში მიიღოს.

***– საქართველოსთან დაკავშირებით კომუნიკე გამოქვეყნდა. ჩამონათვალია, რაზეც ნატო ყურადღებას ამახვილებს. თქვენ როგორ ფიქრობთ, ამ ეტაპზე, დღევანდელი გეოპოლიტიკური ვითარებიდან გამომდინარე, არსებულ სიტუაციაში ნატოს საქართველოსთვის სხვა შემოთავაზება შეეძლო გაეკეთებინა?***

– არა, ნამდვილად არა. აქ საინტერესო მომენტი ისაა, რომ პირდაპირ დაფიქსირებულია, არცერთ მხარეს აქვს უფლება, საქართველოს საგარეო კურსის განსაზღვრაში ჩაერიოს.

***– მნიშვნელოვანი რა არის?***

– როგორც მე მივხვდი, მნიშვნელოვანი ისაა, რომ როგორც რუსეთს, ასევე ნატოს არ აქვს უფლება, ჩაერიოს (ეს ჩემი პირადი მოსაზრებაა). ამით ნატომ კარგად, დიპლომატიურად მიგვანიშნა, მეგობრებო, ჩამოყალიბდით (მე ეს მიმართულება ასე აღვიქვი), ჩამოყალიბდეს თქვენი მთავრობა, საით მიდის, ნატოსკენ თუ, დავუშვათ, მეორე მხარეს. ჩათვალეთ, რომ ნატომ სტრიქონებს შორის მესიჯი გამოუშვა.

***– კომუნიკეში წერია, რომ ნატო ერთგული რჩება, სრულად გამოიყენოს ნატო-საქართველოს კომისია და წლიური ეროვნული პროგრამა. ეს როგორ გესმით, ეროვნული პროგრამა ნატოსგან მოცემული იყო?***

– ეროვნული პროგრამა მას შემდეგ არსებობს, რაც 2008 წლის 22 აგვისტოს ნატო-საქართველოს კომისია შეიქმნა. მაშინვე დაწესდა, რომ ამ კომისიის ფარგლებში, მთავარი ამოცანა იყო, საქართველოს მიერ შემუშავებულიყო ეროვნული პროგრამა, სადაც დაფიქსირდებოდა, თუ როგორ პროგრესს აღწევს საქართველო ნატოსთან სტრატეგიული თანამშრომლობის განვითარებით.

შესაბამისად, შემდეგ გამოჩნდებოდა, რამდენად მზად ვიყავით, მაპი მიგვეღო. ნატო-უკრაინის საბჭო იმისთვისაა, რომ ალიანსი უკრაინას საბოლოო გაწევრიანებისთვის უკვე ამზადებს. ეს განსხვავებაა.

***– ახლა ნატო რუსეთს პირდაპირ მოუწოდებს, თავისი შეიარაღებული ძალები საქართველოს ტერიტორიიდან გაიყვანოს.***

– 80-ე პარაგრაფშია. ნატო რუსეთს ჯარის გაყვანის ადრეც მოუწოდებდა. ნატო ახლაც მოუწოდებს რუსეთს, საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე, ქართველი მოქალაქეებით დასახლებულ ადგილებში, ადამიანის უფლებები დაიცვას.

კომუნიკეში დაფიქსირებულია, რომ მიესალმებიან იმ პროგრესს, რაც განხორციელდა ნატო-საქართველოს თანამშრომლობის პაკეტის ფარგლებში, რომელიც მოიცავს კრიზისების მართვას, უსაფრთხოებას, სამხედრო ინჟინერიის, სამხედრო-ტექნიკური და სამხედრო კომინიკაციების დაცულობის მიმართულებით.

სხვათა შორის, ნატოს კომუნიკეში კიდევ ერთი კარგი რამ არის დაფიქსირებული – მასობრივი განადგურების იარაღის ტრეინინგული, ანუ სასწავლო ცენტრების შექმნა.

# „ივანიშვილ-ბაჩიაშვილმა საქართველოს მოსახლეობის ხარჯზე „დაწერეს“ დიდი ფული და ახლა ერთმანეთში არჩევენ საქმეებს“

მარიამ მჭედლიშვილი

ონკოლოგიური დიაგნოზის მქონე ბავშვები სახელმწიფოს ხარჯზე საზღვარგარეთ მკურნალობას შეძლებენ

გასულ კვირაში საზოგადოებას ბევრისთვის სასიცოცხლო სიახლე აუწყა ჯანდაცვის მინისტრმა ზურაბ აზარაშვილმა.

მისი ინფორმაციით, ონკოლოგიური დიაგნოზის მქონე ბავშვები საქართველოს გარდა, დიაგნოსტირებას და მკურნალობას სახელმწიფოს ხარჯზე შეძლებენ თურქეთში, ისრაელსა და ესპანეთში.

18 წლამდე ასაკის პაციენტების უცხოეთის წამყვან კლინიკებში მკურნალობა მანამდე გაგრძელდება, სანამ საქართველოში არ გაძლიერდება სერვისები და არ შეიქმნება თანამედროვე სტანდარტების ბავშვთა ონკოლოგიური ცენტრი.

❖ ❖ ❖

## „რა შუაშია სახელმწიფო ინსტიტუტები“?

თანაინვესტირების ფონდის ყოფილი ხელმძღვანელის, გიორგი ბაჩიაშვილის გარშემო ატეხილი ხმაური წინა კვირაშიც გრძელდებოდა. მისმა ადვოკატმა განაცხადა, რომ ბაჩიაშვილი პროუკრაინული და პროდასავლური განცხადებებისთვის იდევნება. ამას „ქართული ოცნების“ წევრების მხრიდან ირონიული გამონათქვამები მოჰყვა.



პროკურატურა თანაინვესტირების ფონდის ყოფილ ხელმძღვანელს, გიორგი ბაჩიაშვილს ბიძინა ივანიშვილის ბიტკოინების მისაკუთრებასა და „მტკვარი ჰესის“ მშენებლობისათვის განკუთვნილი თანხების გაფლანგვას ედავება.

– ბიძინა ივანიშვილის წარმომადგენლის, თეიმურაზ წიქვაძის პრეტენზიები თავხედურად არ შეესაბამება სიმართლეს, – განაცხადა ბაჩიაშვილის კანადელმა ადვოკატმა რობერტ ამსტერდამმა.

არაერთი კომენტატორი მიიჩნევს, რომ ივანიშვილ-ბაჩიაშვილის უთანხმოება კერძო დავაა და ის სხვა გზით უნდა გადაწყვიტონ.

ანალიტიკოსი გია ხუხაშვილი ამბობს:

– ამ ყველაფერში არც ბიძინა ივანიშვილი გამოიყურება წელში გამოყვანილად და არც ბაჩიაშვილია დიდი ბიზნესმენი და დაჩაგრული. მათ საქართველოს მოსახლეობის ხარჯზე „დაწერეს“ დიდი ფული და ახლა ერთმანეთში არჩევენ საქმეებს. ამ დავასთან პროკურატურა რა შუაშია? სახელმწიფო ინსტიტუტები რა შუაშია?

❖ ❖ ❖

## სტიქია საქართველოში

გასულ კვირას ძლიერმა წვიმებმა განსაკუთრებით დასავლეთი საქართველო დააზარალეს. 10 ივლისს ძლიერი წვიმით გამოწვეული დაზიანების გამო დროებით მუშაობა შეწყვიტა ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტმა. იქ დაიტბორა ასაფრენი სივრცის დარბაზი, ჩამოვარდა ჭერის ნაგლეჯი.

რუსული ავიაკომპანია „რედ ვინგის“ პირველი რეისი ქუთაისის აეროპორტში სწორედ ამ დღეს იგეგმებოდა.

რუსეთთან ფრენების აღდგენა საზოგადოების ნაწილის პროტესტს იწვევს. ერთი საპროტესტო აქცია ქუთაისის აეროპორტის მიმდებარედ 10 ივლისსაც იგეგმებოდა, მაგრამ ფრენების შეწყვეტის გამო ისიც ჩაიშალა.

წყლისა და ქარის სტიქიამ შეუტია იმერეთს, გურიას, სამეგრელოსა და ოკუპირებულ აფხაზეთს.

❖ ❖ ❖

## ნატოს სამიტი და საქართველო

ვილნიუსის სამიტის შედეგი საქართველოსთვის მოულოდნელი არ ყოფილა – კიდევ ერთხელ ითქვა, რომ საქართველომ ნატოსკენ ისევ მაპის მეშვეობით უნდა წაიწიოს. უკრაინას ნატოში მაპის გარეშე მიიღებენ, თუმცა, ვადები ისევ ბუნდოვანია.

სამიტზე საქართველოს დელეგაციას საგარეო მინისტრი მეთაურობდა.




– ქართული მხარისათვის განსაკუთრებით ღირებულია სამიტზე ალიანსის მიერ დაფიქსირებული ურყევი მხარდაჭერა საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის მიმართ, ისევე, როგორც მოწოდება, რათა რუსეთის ფედერაციამ გაიყვანოს საქართველოს ტერიტორიაზე უკანონოდ განლაგებული თავისი საოკუპაციო ძალები და უარი თქვას საქართველოს რეგიონების ე. წ. დამოუკიდებლობის აღიარებაზე, – ნათქვამია საქართველოს საგარეო უწყების განცხადებაში.

განსხვავებული მოსაზრებები გამოთქვეს მმართველი გუნდის პარლამენტის წარმომადგენლებმა. მათი განცხადებები ნატოს მიმართ გესლიანი იყო. ოპოზიციამ, თავის მხრივ, ნატოში ინტეგრაციის პროცესის შენელება თუ შეჩერება „ოცნების“ ხელისუფლებას დააბრალა.

სამიტის ფარგლებში ნიდერლანდის საგარეო საქმეთა მინისტრმა ვოპკე ჰუქსტრამ დააანონსა დახმარება საქართველოს, მოლდოვის (მოლდოვა, ჯერჯერობით, ისევ ნეიტრალური სახელმწიფოა) და ბოსნია-ჰერცეგოვინას მიმართ. კერძოდ, ნიდერლანდი 8 მილიონ ევროს ინვესტიციას განახორციელებს ნატოს ფონდში.

– არასტაბილურ დროს უაღრესად მნიშვნელოვანია ნატოს მოკავშირეების თანამშრომლობის გაძლიერება აღმოსავლეთი ევროპის ქვეყნებთან, – აღნიშნა ნიდერლანდის მინისტრმა.

❖ ❖ ❖

## დავით სერგეენკო პარლამენტს ტოვებს

პარლამენტის ვიცე-სპიკერის, ჯანდაცვის ყოფილი მინისტრის დავით სერგეენკოსთვის სადეპუტატო უფლებამოსილების შეწყვეტას საპროცედურო კომიტეტმა 14 ივლისს მხარი დაუჭირა. მიზეზად სხდომების გაცდენები დასახელდა.



სერგეენკოსა და „ოცნების“ კიდევ რამდენიმე წევრის პარლამენტიდან მოსალოდნელი წასვლის შესახებ ინფორმაცია მარტის მოვლენების დროს გავრცელდა. მათ მხარი არ დაუჭირეს ე.წ. აგენტების შესახებ კანონპროექტს.

„აგენტების შესახებ კანონის“ მოწინააღმდეგეებმა – ვლადიმერ ჩაჩიბაიამ, გიორგი ხელაშვილმა, ირაკლი კოვზანაძემ და ნინო იობაშვილმა პარლამენტი მარტშივე დატოვეს. სერგეენკო აქამდე დეპუტატად ითვლებოდა.

შეგახსენებთ, რომ უმრავლესობამ კანონპროექტი „უცხოური გავლენების შესახებ“ პირველი მოსმენით მიიღო, შემდეგ კი, მასობრივი საპროტესტო აქციების ფონზე ჩააგდო.

დავით სერგეენკოზე იმ დროიდან მოყოლებული ვრცელდებოდა ინფორმაცია, რომ ის შეუერთდება პარტიას, რომელსაც ბიძინა ივანიშვილის ყოფილი ადვოკატი, ვიქტორ ყიფიანი ჩამოაყალიბებს. ზოგიერთი ანალიტიკოსის მონაცემებით, ყიფიანი ივანიშვილის დავალებით ფსევდოდასავლურ პოლიტიკურ ძალას ქმნის.

❖ ❖ ❖

## მსჯელობა ოპოზიციურ გაერთიანებაზე

ოპოზიციის ძლიერი გაერთიანების შესაძლო შექმნის თემა გასულ კვირაშიც რეპერტუარული იყო საქართველოს პოლიტიკური სპექტრისათვის.



კომენტატორები არჩევდნენ გიორგი ვაშაძის პარტიის „სტრატეგია აღმაშენებელი“ ერთიან ნაციონალურ მოძრაობასთან შესაძლო გაერთიანების პერსპექტივას. ამ კონტექსტში „სტრატეგია აღმაშენებელის“ წევრებმა გაახმაურეს გიორგი ვაშაძის პრემიერობის კანდიდატად (გაერთიანებული ოპოზიციიდან) დასახელების საკითხი.

– თუ იქნება შეთანხმება ოპოზიციის შიგნით და გიორგი ვაშაძე იქნება პრემიერ-მინისტრობის კანდიდატი, ეს მხოლოდ წაადგება ოპოზიციურ პროცესს, – აღნიშნა პაატა მანჯგალაძემ.

მოგვიანებით დაზუსტდა, რომ პრემიერობის საკითხი „სტრატეგია აღმაშენებელის“ სურვილი და ინიციატივაა და არა ნაცმოსთან მიღწეული შეთანხმება. ეს პარტია თავის ლიდერს – გიორგი ვაშაძეს მომავალ პრემიერად დიდი ხანია მოიაზრებს და ასახელებს მის კანდინდატურას.

„სტრატეგიის“ არათანმიმდევრულობა იმაში გამოიხატება, რომ ხან მესამე ძალად წარმოაჩენს თავს, ხან – ნაცმოძრაობის ახლო მოკავშირედ.

ნაცმოს ახლანდელ და ყოფილ წევრებს ვაშაძის პარტიასთან გაერთიანების იდეა არ აკვირვებთ. ნაცმოში ამის საწინააღმდეგო განცხადებები არ გამოთქმულა. ამ საკითხზე კონსულტაციების არსებობა აღიარეს. ისიც ითქვა, რომ ვაშაძის კანდიდატურაზე კი (პრემიერობის კანდიდატად) არანაირი საუბარი არ ყოფილა.

– პარტიაში ჩემი ყოფნის დროსაც ჩანდა, რომ „სტრატეგია აღმაშენებელი“ ინტეგრირებული იქნებოდა ნაციონალურ მოძრაობაში. ახლა, მთავარი უნდა იყოს არა სიები და პრემიერობის კანდიდატები, არამედ, „ქართული ოცნების“ დამარცხების სერიოზული გეგმა, – განაცხადა ხატია დეკანოიძემ.

❖ ❖ ❖

## მსჯავრდებული ექსპრეზიდენტი, პოლონელი ექიმები და წინდები

გასულ კვირას კლინიკა „ვივამედში“ მყოფი მესამე პრეზიდენტი პოლონელმა ექიმებმა მოინახულეს. ამას ახლდა სკანდალი, რომელიც ერთ-ერთი ვიზიტორის პარტიზანულმა მოქმედებებმა გამოიწვია.

კლინიკური დირექტორის, ზურაბ ჩხაიძის თქმით, პოლონელი მედიკოსები დაეთანხმნენ „ვივამედის“ ექიმების სააკაშვილის მკურნალობის ტაქტიკასა და ჩატარებულ კვლევებს. პოლონელებმა ისიც აღიარეს, რომ ექსპრეზიდენტისათვის მიწოდებული (მას საკვებით შინიდან ამარაგებენ) საკვები არასაკმარისად კალორიულია და კალორიების მატებასთან ერთად მისი მდგომარეობა გაუმჯობესდება.

პენიტენციური სამსახურის მიერ გავრცელებული კადრებით, ერთ-ერთმა მათგანმა ადგილზე აღებული ნიმუში (მასალა) ქაღალდში გაახვია, წინდაში შეინახა და ამ გზით ცდილობდა მის მალულად გამოტანას. შემდეგ ამ ექიმს უთაქვამს, რომ ჯიბეები არ უყვარს და ყველაფერს წინდებში ინახავს.

– ეს ქმედება იყო ეთიკისა და მათ შორის სამედიცინო-სამართლებრივი ნორმების უხეში დარღვევა, – ასეთი იყო იუსტიციის მინისტრ რატი ბრეგაძის რეაქცია.

ამბავს გამოეხმაურა კლინიკის გენარალური დირექტორი ნინო ნადირაძე.

– პროტოკოლის დაცვით აღებული იყო მასალა. დაილუქა. ერთი კონტეინერი წაიღეს პოლონელმა ექიმებმა, მეორე დარჩა კლინიკაში, რომელსაც ჩვენ გავაგზავნით კვლევაზე. წინდებითა და ფეხსაცმლით გამოტანილი მასალა აიღეს მოწმეების გარეშე, – დაწერა ნინო ნადირაძემ.

# ირაკლი ღარიბაშვილი: „მოხდა სამარცხვინო და შემაშფოთებელი ფაქტი, როცა პოლონელმა ექიმებმა დამალეს ის ნიმუშები, რომელიც აიღეს ოფიციალურად“

– რაც შეეხება ექიმების ჩამოსვლას. მე მინდა გავაკეთო შემდეგი კომენტარი ამ საკითხზე, ვინაიდან საკითხი არის ძალიან პოლიტიზირებული და საზოგადოების შეცდომაში შეყვანის მცდელობას აქვს ადგილი, ქვეყნის შიგნით არა, ქვეყნის გარეთ უფრო, ამიტომ მე მაინც კომენტარს გავაკეთებდი ამ საკითხზეც.

ჯერ კიდევ შარშან ნოემბერში, მაშინ ჩვენ მსჯელობა გვქონდა ამაზე და იუსტიციის მინისტრმა გააკეთა შეთავაზება, მან საჯაროდ თქვა, რომ სააკაშვილის ოჯახს შეუძლია ჩამოიყვანოს ნებისმიერი ექიმი, ნებისმიერი კლინიკიდან და რომ ჩვენ არავითარ ბარიერს არ შევუქმნიდით მათ.

ჩვენ თვეების განმავლობაში ველოდით მათ ქმედებას, მათ ქმედით ნაბიჯებს, რომ სურვილისამებრ მათ შეეძლოთ ჩამოეყვანათ ექიმები. ძალიან ბევრი სპეკულაცია გაიმართა ამ საკითხზე და როგორც იქნა, ბოლოს როგორც ვიცი, პოლონეთის საელჩო ჩაერთო ამ პროცესში და მათ ჩამოიყვანეს, სააკაშვილის ოჯახთან ერთად, ექიმები.

რა თქმა უნდა, მას შემდეგ, რაც მათ გაიარეს კონკრეტული პროცედურები, ჩვენგან ერთგვარი კეთილი ნება დადასტურდა, ჩვენ ვიყავით ერთგულნი ჩვენი დაპირების, შეთავაზების, ეს ერთგვარი ჟესტი გავუკეთეთ ჩვენს მეგობრებს, კოლეგებს, – ამის შესახებ პრემიერ-მინისტრმა ჟურნალისტებს განუცხადა.

მთავრობის მეთაურის თქმით, ეს ყველაფერი წმინდა პოლიტიკური საკითხია და პოლონეთში ამჟამად საარჩევნო კამპანია მიმდინარეობს.

– აქვე მინდა ვთქვა, რომ პოლონეთს ამჟამად აქვს საარჩევნო კამპანია და გარკვეული ჯგუფები, რომლებიც დაკავშირებულნი არიან სააკაშვილთან და მის ჯგუფთან, გვარებს აღარ ჩამოვთვლი, კარგად მოგეხსენებათ ის ადამიანები, რომლებიც აქტიურობენ და ძალიან ბევრ დეზინფორმაციას ავრცელებენ, მათი აქტიურობით, ზედმეტი აქტიურობით პოლონეთში, ამ საარჩევნო კამპანიაში, როგორც ჩანს, აქტიურად განიხილება სააკაშვილის პატიმრობის საკითხი და ამიტომ ეს წმინდა პოლიტიკური საკითხია მათთვის, შიდა პოლიტიკური საკითხია და ამას ემსახურება ეს მათი ზედმეტი აქტიურობა და მე ეს ვიცი პირადად ჩვენი პოლონელი მეგობრებისგან.

აღარ მინდა დეტალებში შევიდე, მაგრამ ჩვენგანაც ეს ერთგვარი ჟესტი იყო, მით უმეტეს, ჩვენ არავისთვის არაფერი გვაქვს დასამალი. აბსოლუტურად გამჭვირვალედ ვმუშაობთ ყველა მიმართულებით.

საერთაშორისო

# ბახმუტთან დამატებითი ძალები გადმოსხეს

უკრაინაში საომარი მოქმედებები არ წყდება. მტერი მთავარ აქცენტს კვლავაც ავდეევკაზე, ბახმუტსა და მარინკაზე აკეთებს. რაც შეეხება ზაპოროჟიეს ან ხერსონის მიმართულებას, აქ რუსები ცდილობენ, რომ უკრაინელთა წინსვლა შეაჩერონ.



ბახმუტთან ბრძოლები გრძელდება. როგორც ცნობილია, უკრაინელებმა ქალაქის გარშემო ყველა სიმაღლე დაიკავეს.

პუტინის ბრძანებით, ბახმუტთან დამატებითი ძალები გადმოსხეს. მიუხედავად ამისა, ამან საქმეს ვერ უშველა. უკრაინელები ცეცხლს უშენენ ბახმუტში გამაგრებულ რუსეთის გარნიზონს. ის ფაქტიურად მახეშია. ოკუპანტების რიგებში სერიოზული დანაკარგებია.

მსგავსი ვითარებაა ავდეევკასთან, მარინკასთან, ლიმანთან. აქ მძიმე ბრძოლების მიუხედავად, უკრაინელებმა ყველა პოზიცია შეინარჩუნეს. პარალელურად, უკრაინულმა არმიამ გააძლიერა პოზიციები გორლოვკაში. განხორციელდა მორიგი დარტყმები დონეცკსა და ლუგანსკზე. რაც შეეხება ზაპოროჟიეს მიმართულებას, აქ უკრაინელთა წინსვლა გრძელდება. რუსებმა პასუხად დაბომბვები გააძლიერეს. ამერიკული პეტრიოტების წყალობით, უკრანელებმა რიგი რუსული თვითმფრინავისა და რაკეტის ჩამოგდება შეძლეს. უკრაინული არმია სულ უფრო უახლოვდება მელიტოპოლს, ბერდიანსკს, მარიუპოლს. ქალაქებზე დარტყმები ინტენსიური გახდა. დანაკარგები ოკუპანტების რიგებში სერიოზულია.

ამრიგად, დონბასში ახლა უკვე უკრაინელები ფლობენ ინიციატივას. რაც შეეხება უკრაინის მთელ სამხრეთ რეგიონს, ის ცეცხლის ალშია გახვეული. ყოველდღე მიმდინარეობს აფეთქებები ყირიმის ქალაქებში, სევასტოპოლში, იალტაში, ფეოდოსიაში, სიმფეროპოლში. რუსებმა, თავის მხრივ, უკრაინის დაბომბვები გააძლიერეს. ეს უკვე ყოველდღე ხდება.

თანახმად უკრაინის გენშტაბის ცნობისა, გასული დღის განმავლობაში რუსებმა უკრაინის მიმართულებით 17 დრონი გაუშვეს.

უკრაინელებმა აქედან 16 ჩამოაგდეს. ერთი დრონის ნამსხვრევები ქალაქ კრივოი– როგის მრავალსართულიან სახლს დაეცა. მშვიდობიან მოსახლეობაში არის მსხვერპლი.

მიუხედავად რუსული დაბომბვების გააქტიურებისა, უკრაინელთა წინსვლა ყველა მიმართულებით გრძელდება. რუსებმა ამის შეჩერება ვერაფრით მოახერხეს.

## უკრაინის პარლამენტი საქართველოს პრეზიდენტს სააკაშვილის შეწყალებას სთხოვს

უკრაინის პარლამენტმა საქართველოს პრეზიდენტ სალომე ზურაბიშვილს მიხეილ სააკაშვილის შეწყალება სთხოვა. სათანადო მიმართვის ტექსტი უკვე მიიღო.

უკრაინის პარლამენტის დეპუტატების უმრავლესობამ სააკაშვილის გათავისუფლებას მხარი დაუჭირა.

## დანაკარგები ოკუპანტების რიგებში

ოკუპანტების რიგებში შემდეგი დანაკარგებია: ტანკები – 4.102; ბრონირებული საბრძოლო მანქანები – 8.019; არტილერია – 4.463; თვითმფრინავები – 315.

განადგურებულია 240.190 ოკუპანტი.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

# პენიტენციური სამსახური: მიხეილ სააკაშვილისგან აღებული ნიმუში პოლონელმა ექიმმა ქაღალდში გადაახვია და ცდილობდა მის მალულად გატანას ფეხსაცმლის მეშვეობით



პენიტენციური სამსახური საქართველოს მესამე პრეზიდენტთან, მიხეილ სააკაშვილთან პოლონელი ექიმების ვიზიტთან დაკავშირებით განცხადებას და კადრებს ავრცელებს.

განცხადების თანახმად, ვიზიტის განმავლობაში, ერთ-ერთი პოლონელი ექიმისგან ადგილი ჰქონდა „გაუგებარ ინციდენტს". კერძოდ, მსჯავრდებულ მიხეილ სააკაშვილისგან აღებული ნიმუში პოლონელმა ექიმმა გადაახვია ქაღალდში და ცდილობდა მის მალულად გატანას ფეხსაცმლის მეშვეობით.

ამასთან, უწყება განმარტავს, რომ ოფიციალური წესით აღებული ნიმუშის გატანის უფლება მათ მისცა სამსახურმა, შესაბამისად, აღნიშნული ქმედება „ექიმის მხრიდან სამედიცინო ეთიკურ და სამართლებრივ ნორმებთან შეუსაბამო საქციელს კიდევ უფრო მეტად ჰმატებს ბუნდოვანებას".

– 2022 წლის 29 ნოემბერს იუსტიციის მინისტრმა, გამომდინარე იმ მაღალი პასუხისმგებლობიდან, რომლითაც სახელმწიფო პატიმრების სიცოცხლესა და ჯანმრთელობას ეკიდება, მსჯავრდებულ მიხეილ სააკაშვილს, რომელიც არ ითვალისწინებდა მკურნალი ექიმების რეკომენდაციებს, შესთავაზა, მისი მკურნალობის პროცესში ჩართვის მიზნით, მოეწვია ნებისმიერი უცხოელი ექიმი ნებისმიერი უცხოური კლინიკიდან.

2023 წლის 20 მარტს, თითქმის 4 თვის შემდეგ, სამსახურს მომართა მსჯავრდებულის დედამ განცხადებით, რაც ვერ აკმაყოფილებდა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ სტანდარტებს. განმცხადებელს არაერთგზის, წერილობითი და ზეპირი ფორმით, განემარტა, რომ ექიმებს უნდა ჰქონოდათ საქართველოში დროებითი საექიმო საქმიანობის განხორციელების უფლება და, ასევე, დაცული უნდა ყოფილიყო კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა მოთხოვნები. მიუხედავად ამისა, საზოგადოებას მიეწოდებოდა არასწორი ინფორმაცია იმის შესახებ, თითქოს, მსჯავრდებულთან არ უშვებდნენ პოლონელ ექიმებს.

იუსტიციის სამინისტროს შეთავაზებიდან 7 თვის შემდეგ, 2023 წლის 5 ივლისს, მსჯავრდებულის ადვოკატმა შესაბამისი ფორმით, წარმოადგინა მომართვა მსჯავრდებულ სააკაშვილთან კლინიკა „ვივა მედში" პოლონელი ექიმების შეშვებასთან დაკავშირებით. 12 ივლისს მათ მიერ დასახელებულ ექიმებს მიეცათ შესაძლებლობა, რომ მოენახულებინათ მსჯავრდებული, რითაც კიდევ ერთხელ დადასტურდა უწყების ერთგულება გაცემული დაპირებისადმი.

ამასთან, 3 ივლისს იმავე ადვოკატის მიერ წარმოდგენილ წერილში მითითებული იყო, რომ მოცემული ინფორმაცია იყო კონფიდენციალური. თუმცა, მოგვიანებით, საზოგადოებამ ერთ-ერთი ტელეკომპანიის მეშვეობით, პრაქტიკულად, პირდაპირ ეთერში იხილა ექიმების საავადმყოფოში შესვლის პროცესი, რასაც მიეძღვნა პოლიტიკური გადაცემები და იმთავითვე თავად დაარღვიეს კონფიდენციალურობა.

ვიზიტის განმავლობაში, ერთ-ერთი პოლონელი ექიმისგან ადგილი ჰქონდა გაუგებარ ინციდენტს. კერძოდ, მსჯავრდებულ მიხეილ სააკაშვილისგან აღებული ნიმუში, პოლონელმა ექიმმა გადაახვია ქაღალდში და ცდილობდა მის მალულად გატანას ფეხსაცმლის მეშვეობით. აღსანიშნავია, რომ ოფიციალური წესით აღებული ნიმუშის გატანის უფლება მათ მისცა თავად სამსახურმა, შესაბამისად, აღნიშნული ქმედება ექიმის მხრიდან სამედიცინო ეთიკურ და სამართლებრივ ნორმებთან შეუსაბამო საქციელს კიდევ უფრო მეტად ჰმატებს ბუნდოვანებას. ამ პიროვნებას ჩამოერთვა ახსნა-განმარტება, რომელიც ვერ ექვემდებარება ლოგიკურ ახსნას.

მაღალი საზოგადოებრივი ინტერესიდან გამომდინარე, ვავრცელებთ აღნიშნული ინციდენტის ამსახველ კადრებს და მოვუწოდებთ ყველას, რომ თავი შეიკავონ პროვოკაციული და კანონმდებლობასთან შეუთავსებლობაში მყოფი ქმედებებისგან.

## ფონიჭალაში ცოლად შერთვის მიზნით, ბიჭმა არასრულწლოვანი ბიძაშვილი მოიტაცა

არსებული ინფორმაციით, ფონიჭალაში, ბიჭმა, ცოლად შერთვის მიზნით, არასრულწლოვანი ბიძაშვილი მოიტაცა.

როგორც „ინტერპრესნიუსს" შინაგან საქმეთა სამინისტროში განუცხადეს, შსს-მ გამოძიება თავისუფლების უკანონო აღკვეთის მუხლით დაიწყო, დაკავებულია 4 პირი.

## ახალციხეში ბავშვს მანქანა დაეჯახა



ახალციხეში ბავშვს მანქანა დაეჯახა. არსებული ინფორმაციით, შემთხვევა 9 აპრილის ქუჩაზე დაახლოებით 23 საათისთვის მოხდა.

ადგილზე მობილიზებული იყო სასწრაფო სამედიცინო დახმარების ბრიგადა და პოლიცია.

დაშავებული ბავშვი სასწრაფო დახმარების ბრიგადამ კლინიკაში გადაიყვანა.

## სოფელ ბობნევთან ავარია მსხვერპლით დასრულდა

გორის რაიონში, სოფელ ბობნევთან ავტოსაგზაო შემთხვევას ერთი ადამიანის სიცოცხლე ემსხვერპლა.

ინფორმაციას ქართლი.გე ავრცელებს.

არსებული ინფორმაციით, ავტომობილი კლდეს შეეჯახა და ამობრუნდა. მიმდინარეობს გამოძიება.

## პროკურატურამ „ფორმულას" ჟურნალისტისთვის ძალადობის ფაქტზე ერთ პირს ბრალდება წარუდგინა



საქართველოს პროკურატურამ ტელეკომპანია „ფორმულას" ჟურნალისტისთვის პროფესიულ საქმიანობაში უკანონოდ ხელის შეშლისა და ძალადობის ფაქტზე ერთ პირს ბრალდება წარუდგინა.

გენერალური პროკურატურის მიერ გავრცელებული ინფორმაციით, უწყება ბრალდებულისთვის აღკვეთი ღონისძიების შეფარდების შუამდგომლობით, სასამართლოს კანონით დადგენილ ვადაში მიმართავს.

სპეციალური საგამოძიებო სამსახურის მიერ ჩატარებული გამოძიების შედეგად დადგინდა, რომ 13 ივლისს, ბათუმში, ბრალდებულმა ჟურნალისტური საქმიანობის შეწყვეტის მიზნით ტელეკომპანია „ფორმულას" ჟურნალისტის მიმართ ძალადობა განახორციელა.

მას ბრალდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 126-ე მუხლის 1-ლი ნაწილით (ძალადობა) და 154-ე მუხლის 1-ლი ნაწილით (ჟურნალისტისთვის პროფესიულ საქმიანობაში უკანონოდ ხელის შეშლა) წარედგინა.

# „ჩვენ ყოველწლიურად სხვადასხვა ლოკაციაზე გავმართავთ „მთის დღეებს", ვფიქრობ, ეს ძალიან კარგი ტრადიციაა"

– შარშან დავიწყეთ „მთის დღეების" აღნიშვნა, ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი ტრადიცია, რომელიც ემსახურება ზოგადად მთის დაფასებას, მთაში მცხოვრები მოქალაქეების დაფასებას, მე მინდა მათ კიდევ ერთხელ მადლობა გადავუხადო, – ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა შოვში, „მთის დღეების" ფარგლებში გამართულ საზეიმო ღონისძიებაზე განაცხადა.

მთავრობის მეთაურის თქმით, „მთის დღეები" არა მხოლოდ საქართველოს მოქალაქეებს მისცემს საშუალებას, რომ დაათვალიერონ ქვეყნის უნიკალური ბუნება, არამედ ბევრ ტურისტსაც მოიზიდავს.



– მთა ჩვენთვის არის ძალიან მნიშვნელოვანი, ჩვენი ქვეყნისთვის, მოქალაქეებისთვის და ჩვენ ყოველწლიურად სხვადასხვა ლოკაციაზე გავმართავთ „მთის დღეებს", ვფიქრობ, ეს ძალიან კარგი ტრადიციაა. გარდა იმისა, რომ ჩვენს მოქალაქეებს შეეძლებათ მოინახულონ ჩვენი უნიკალური ბუნება, მართლაც უნიკალური, ხელშეუხებელი ბუნება, ჩვენი საგანძური, რომ იტყვიან, ბევრი ტურისტი ჩამოვა, ბევრი დამსვენებელი ნახავს ჩვენი ქვეყნის სილამაზეს, სიდიადეს და ვფიქრობ, ძალიან კარგი ტრადიცია გამოგვივიდა, – განაცხადა პრემიერმა.

ფესტივალის ფარგლებში მთის ერთგულებისთვის და მთის განვითარებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის ტყის მცველები დააჯილდოვეს.

„მთის დღეები" საქართველოს მთავრობისა და უშუალოდ პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის გადაწყვეტილებით, მეორე წელია იმართება.

15 ივლისს „მთის დღეები" გაიმართა თუშეთსა და იმერეთში, ხოლო 22 ივლისს ყაზბეგში, გურიასა და სვანეთში, სადაც ასევე წარმოდგენილი იქნება მრავალფეროვანი გასართობი და შემეცნებითი პროგრამა, ადგილობრივი კერძების მასტერკლასები და დეგუსტაცია.

საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა, ლენტეხში, თამარ მეფის განახლებული ქუჩა დაათვალიერა.

მთავრობის მეთაურს განხორციელებული სამუშაოების შესახებ ინფორმაცია რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრმა ირაკლი ქარსელაძემ მიაწოდა.

ლენტეხის მუნიციპალიტეტში „მჟავე წყლის მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობის" სამუშაოები დასრულდა. პროექტის ფარგლებში კეთილმოეწყო მცირე ზომის საგამოფენო სივრცე.

მოწესრიგდა მიმდებარე გზის სავალი ნაწილი და სადრენაჟე სისტემა, მოეწყო პარკინგი, დეკორატიული განათებები, მოპირკეთდა კედლები, დამონტაჟდა სკამები.

პროექტი 2020-2022 წლების საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამის ფარგლებში დაფინანსდა, რომლის ღირებულება 1.200.000 ლარს შეადგენს.

ირაკლი ღარიბაშვილმა ცაგერში ცენტრალური ბაზრის ტერიტორია, დავით აღმაშენებლის ქუჩა და სკვერი დაათვალიერა. მთავრობის მეთაური ადგილზე ცაგერის მოსახლეობას შეხვდა და გაესაუბრა.

მიტროპოლიტმა მთავრობის მეთაურს ცაგერისა და ლენტეხის ეპარქიის რეზიდენციაში უმასპინძლა. მიტროპოლიტმა სტეფანემ პრემიერ-მინისტრი დალოცა და წარმატებები უსურვა.

## კრემლმა თრუსოს ხეობას თვალი დაადგა



ოკუპანტმა თვალი თრუსოს ხეობას დაადგა. „სამოთხე დედამიწაზე, ასეც უწოდებენ ყაზბეგის მუნიციპალიტეტის ამ ულამაზეს ხეობას.

რამდენიმე დღის წინ ჟენევის დისკუსიის ფარგლებში გამართულ სხდომაზე, დროებით ოკუპირებული სამაჩაბლოს ე.წ. ხელისუფლების დელეგაციამ კიდევ ერთხელ წამოწია საკითხი, რომლის მიხედვითაც მათი თქმით, ეთნიკური ოსები, ვერ მიდიან საგვარეულო სოფლებში.

ცხინვალის საოკუპაციო რეჟიმმა ერთი წლის წინაც გააქტიურა ეს თემა. მაშინ რეჟიმის საგარეო საქმეთა სამინისტრომ გაავრცელა განცხადება და საქართველო „ოსური მიწების" ფაქტობრივ ოკუპაციაში დაადანაშაულა. საუბარია ყაზბეგის რაიონზე. ამ პროვოკაციულ განცხადებებს ოფიციალური თბილისი არ გამოხმაურებიან. „ქართული ოცნება" ისევ რუსეთის არ გაღიზიანების პოლიტიკას მისდევს.

## პაოლო იაშვილის მემორიალური დაფა სანაგვეზე გადააგდეს



1937 წლის რეპრესიებს შეწირული პოეტის პაოლო იაშვილის მემორიალური დაფა სანაგვეზე გადააგდეს.

ინფორმაცია და ფოტოები რეჟისორმა **დათა თავაძემ** გაავრცელა:

– საქმე რა არის იცით? მე ბერიძეზე ვცხოვრობდი და, რაც თავი მახსოვს, ერთი დღე არ ყოფილა არ ჩამევლა იაშვილზე და არ შემეხედა პაოლოს აბრისთვის. თან ეგ ქუჩა ყველაზე ძალიან მიყვარს. იქნებ, ამის გამოც. ყოველ შემთხვევაში, არც უამისობაა. მაგრამ ახლა ეს აბრა იქ აღარაა, სანაგვეზე იპოვეს დღეს (მესხიშვილის ქუჩაზე. რატომ? საიდან?), მერე მოვედი ამ სანაგვესთან და აღარ დამხვდა. ჰოდა, აღარაფერი აღარ იქნება მალე ამ ქალაქში, რასაც მთელი ცხოვრება ვუყურებდი და მიყვარდა.

და არაა ეს პატარა ამბავი.

სამშობლოა ასეთი რალაცები და მალე აღარ იქნება. ასე რომ, თუ გინდათ სენტიმენტალურობაში ჩამითვალეთ, მაგრამ ბოდიშს არ მოვიხდი, იმიტომ, რომ, არც არასდროს მრცხვენოდა სენტიმენტალურობის, არც არასდროს დამიმალავს.

მიდით, ნაგავში გადაყარეთ ყველაფერი.

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# რამდენ ხანს გაგრძელდება რუსეთ-უკრაინის ომი?



აშშ-ს პრეზიდენტი ბაიდენი ჰელსინკიში ჩავიდა. აქ მან გამართა პრესკონფერენცია. ჟურნალისტების შეკითხვაზე, თუ რამდენ ხანს გაგრძელდება კიდევ რუსეთ-უკრაინის ომი, მიუგო:

– არა მგონა, რომ ომი წლების განმავლობაში გაგრძელდეს!

შეკითხვაზე, ასე რად ფიქრობ, ბადენმა უპასუხა, რომ არსებობს ორი უმთავრესი მიზეზი, რომელიც გვაფიქრებინებს, რომ ომი წლების მანძილზე ვერ გაგრძელდება: 1) რუსეთს არ გააჩნია რესურსები, რომ ხანგრძლივი ომი აწარმოოს; ეს თანაბრად შეეხება როგორც ადამიანურ რესურსებს, ისე მატერიალურს. ომმა რუსეთის ეკონომიკას დიდი ზარალი მიაყენა და რუსეთი უახლოვდება ზღვარს, როცა საომარი მოქმედებები უნდა შეჩერდეს; 2) თავად პუტინი უკვე ხვდება, რომ ქვეყანას ომი აღარ შეუძლია; ახლა პუტინი ე.წ. „საპატიო ფრესკენ" მიისწრაფვის, როცა უკრაინა გააგრძელებს კურსს ნატოსაკენ, მაგრამ რუსეთს დარჩება ყირიმი, დონბასის ნაწილი, აგრეთვე ხერსონ-ზაპოროჟიეს ოლქები.

შემდეგ აშშ-ს პრტეზიდენტმა დაამატა, რომ ასეთ სქემას არც უკრაინა დათანხმდება, არც აშშ, არც რომელიმე სხვა ქვეყანა. შესაბამისად, პუტინს მისთვის უაღრესად მძიმე ნაბიჯებზე წასვლა მოუწევს. მას უბრალოდ სხვა გამოსავალი აღარ დარჩა.

ჟურნალისტების შეკითხვაზე, თუ კონკრეტულად რა შედეგებით დასრულდება ომი, ბაიდენმა პასუხს თავი აარიდა. სამაგიეროდ, მან თქვა, რომ უკრაინა რუსეთის გავლენის სფეროს ალარასდროს დაუბრუნდება.

კურსი ევროკავშირსა და ნატოსაკენ გაგრძელდება და უახლოესი 2-3 წლის განმავლობაში უკრაინა ნატოს წევრი გახდება. ამას გარდა, რუსეთს ყველა ოკუპირებული უკრაინული ტერიტორიის დაბრუნება მოუწევს. რუსები წავლენ დონბასიდან, ზაპოროჟიედან, ხერსონიდან. რაც შეეხება ყირიმს, აქ შესაძლოა, გაიმართოს მოლაპარაკებები. საბოლოოდ, რუსებს იქედანაც მოუწევთ წასვლა.

ამრიგად, საომარი მოქმედებები ჯერ კიდევ გრძელდება. მიუხედავად ამისა, მსოფლიოს გავლენიანი ძალები უკვე კამათობენ იმაზე, თუ როგორი იქნება ომის შემდგომი უკრაინა. რუსული არმიის გასვლა უკრაინიდან არა მხოლოდ მოსკოვის მარცხს ნიშნავს. ეს რუსეთის, როგორც იმპერიის, დასასრულიცაა.

ეს ხვალინდელი დღეა. დღეს რუსეთს ჯერ კიდევ შეუძლია ჩხუბი. გამარჯვების შანსები კრემლს აღარ დარჩა, სამაგიეროდ, პუტინი ყველაფერს გააკეთებს იმისათვის, რომ უკრაინული ტერიტორიის თუნდაც ნაწილი შეინარჩუნოს.

ამრიგად, სისხლისღვრის დასრულებამდე, სამწუხაროდ, ჯერ შორია. რაც უფრო დიდხანს გაჭიანურდება საომარი მოქმედებები, მით უფრო დასუსტდება რუსეთი. ეს კი მთელ პოსტსაბჭოთა სივრცეზე ძალთა გადანაწილებას გამოიწვევს. ეს უფრო მთავარია, ვიდრე იმის განსაზღვრა, თუ კონკრეტულად რომელ დღეს დამთავრდება ომი.

ამრიგად, ცვლილებები პოსტსაბჭოთა სივრცეში, მათ შორის კავკასიაშიც გარდუვალია. მზად არის საამისოდ საქართველო?

# უკრაინამ აშშ-ის კონგრესის დახმარება შეინარჩუნა

აშშ-ის კონგრესში ცხარე დებატები გაიმართა. რესპუბლიკური პარტიის ულტრამემარჯვენე ფრთამ (ექსპრეზიდენტ ტრამპის მომხრეები) უკრაინისათვის დახმარების შეწყვეტა მოითხვა. ამისი წინაალმდეგნი აღმოჩნდნენ როგორც დემოკრატები, ისე რესპუბლიკელებიც. ტრამპის მომხრენი აშკარა უმცირესობაში იყვნენ.

ცხარე დებატების შედეგად უკრაინას დამატებით კიდევ 886 მილიონი დოლარი გამოუყვეს. ეს საშუალებას მისცემს კიევს, გაზარდოს სამხედრო მოსამსახურეთა ხელფასი და სრულყოს ჯარის აღჭურვილობა. დღეს, უკრანელთა კონტრშეტევების ჟამს, ამას უდიდესი მნიშვლობა აქვს.



# გენერალ ზალუჟნის განცხადება

უკრაინული არმიის სარდალმა, გენერალმა ზალუჟნიმ განაცხადა, რომ უკრაინის მთელი ტერიტორია, მათ შორის, ყირიმიც, დეოკუპირებული იქნება.

გენერალმა ხაზი გაუსვა, რომ განახორციელებს დარტყმებს რუსეთის ტერიტორიაზეც. ამ ინტერვიუს გამოქვეყნებიდან რამოდენიმე საათის შემდეგ უკრაინელებმა დაარტყეს კურსკს, ვორონეჟს, ბელგოროდს, ბრიანსკს.

# ბერდიანსკში რუსეთის არმიის გენერალი მოკლეს

ფრონტი უკვე დროებით ოკუპირებულ ბერდიანსკსა და მარიუპოლს მიუახლოვდა. ამან რუსი ოკუპანტებისათვის ფატალური შედეგები მოიტანა.

დროებით ოკუპირებულ ბერდიანსკში უკრაინული რაკეტის მიერ განადგურებულია სანატორიუმი „დიუნა". მას რუსი ჯარისკაცები თავიანთ ბაზად იყენებდნენ. დაიღუპა ბევრი რუსი ჯარისკაცი და ოფიცერი. მათ შორისაა რუსეთის არმიის გენერალი ცოკოვი.

რუსეთის დიქტატორის აზრით, უნდა აღდგეს პარტიზანებთან ბრძოლის სტალინური მეთოდები, კერძოდ, აღდგეს სამხედრო კონტრდაზვერვა „სმერში" (სიკვდილი ჯაშუშებს), დაიწყოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან მოსახლეობის მასობრივი დეპორტაციები. ადგილზევე, ყოველგვარი სასამართლოსა და გამოძიების გარეშე, უნდა იქნას დახვრეტილი ყველა, ვინც წინააღმდეგობის გაწევას დააპირებს.

# კიევო-პეჩორსკის ლავრის წინამძღვარი პატიმრობაში აიყვანეს



კიევო-პეჩორსკის ლავრის წინამძღვარი პატიმრობაში აიყვანეს. ამის თაობაზე „რბკ– უკრაინა" იუწყება. მას რელიგიური შუღლის გაღვივება და შეიარაღებული აჯანყებისაკენ მოწოდება ბრალდება.

დაპატიმრებული ფსევდოსასულიერო პირი რუსეთის პატრიარქმა კირილემ დაიცვა. მან მიმართა გაეროს, ეუთოს და სთხოვა, აიძულონ უკრაინის ხელისუფლება, რომ წიმამძღვარი გაათავისუფლონ.

# მარინ ლე პენმა დუმილი დაარღვია



ოდიოზურმა ფრანგმა პოლიტიკოსმა მარინ ლე პენმა კარგა ხნის დუმილი დაარღვია. მან განაცხადა, რომ უკრაინისათვის შორსმსროლელი რაკეტების მიწოდება უპასუხისმგებლო საქციელია.

**მოამზადა ნიკა თევზაძემ**

# პოლიციელი ქალი კოლეგასთან საპატრულო მანქანაში სექსისთვის სამსახურიდან გაუშვეს

აშშ-ში პოლიციელი ქალი სამსახურიდან მას შემდეგ გაანთავისუფლეს, როდესაც ის კოლეგასთან საპატრულო მანქანაში სექსში დაადანაშაულეს.

ალნიშნული შემთხვევა სერჟანტ კელი მეტცსა და მის ხელქვეით პატრიკ ბირნს შორის ტეხასის შტატში 2022 წლის მაისში მოხდა. იმ დროისთვის ორივე კომალის ოლქის შერიფის ოფისში მსახურობდა. საპატრულო მანქანა, რომელითაც მეტცი და ბირნი მორიგეობდნენ, კაფესთან ავტოსადგომზე გამვლელმა დევიდ ბრეკეჯმა შენიშნა. როგორც მამაკაცმა გამომძიებელს განუცხადა, მას მანქანის მხრიდან სქესობრივ ურთიერთობისგან მიღებული კმაყოფილების გამომხატველი კვნესის ხმა შემოესმა. მან ასევე აღიარა, რომ მანქანის მინას ქვა ესროლა და გაიქცა. ამის გამო ბრეკეჯი პასუხისგებაში მიეცა, პოლიციის ავტომობილის დაზიანების ბრალდებით.

ალსანიშნავია, რომ ამ ინციდენტის თაობაზე არც მეტცს და არც ბირნს ხელმძღვანელებისთვის არ უცნობებიათ. გარდა ამისა, ბრეკეჯის მიერ მითითებულ დროს, ორივეს სამხრე კამერები გამორთული ჰქონდა. დაკითხვის დროს კი მეტცმა განაცხადა, რომ ის ბირნთან ერთად სატრანსპორტო საშუალებაში დამნაშავის დაკავების ტრენინგს ატარებდა, ხოლო კოლეგასთან სექსის ბრალდება უარყო.

მოგვიანებით, მან კოლეგასთან სექსის ბრალდება დაადასტურა, თუმცა, იქვე აღნიშნა, რომ ბირნთან ურთიერთობა ჰქონდა არა საპატრულო მანქანაში, არამედ მასთან სახლში და არა მაისში, არამედ იმავე წლის ოქტომბერსა და ნოემბერში.



საბოლოოდ მეტცი სამსახურიდან გაანთავისუფლეს პროფესიონალური კოდექსის დარღვევის, სამსახურეობრივი მდგომარეობის გამოყენებისა და კამერების გამორთვისთვის. რაც შეეხება ბირნს, ის აღნიშნული ინციდენტის შემდეგ პოლიციის სხვა განყოფილებაში გადაიყვანეს.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## სპორტი

# სამი მატჩი, სამი შანსი

უეფას კონფერენსლიგაში ქართულმა გუნდებმა სამი მატჩი გამართეს და სამივე გუნდმა შანსი დაიტოვა. ზოგმა მეტი, ზოგმა – მცირე. ვინ როგორ გამოიყენებს, საპასუხო მატჩებში გამოჩნდება.

**ტირანა (ალბანეთი)-დინამო (საქართველო) 1:1**

**ტირანა. არენა კომბეტარე**

**0:1 ფლამარიონი (67), 1:1 ლუშკა (90)**

**ტირანა:** სელმანი, ჰოჯაჰალარი (ლულაი 78), ჰილა, ნაიდოვსკი, მიჩი (პერგიონი 69), დოკა, იონუზი (ლუშკა 78), დელიუ, ლაფიტი (ჰაჯიუ 78), აბაზაი, ჰასანი

**დინამო:** ჩიჩკანი, მამუჩაშვილი, კობახიძე, ბალიჩი, გიორბელიძე, ტეიდი, ლიტვინენკო (მოსიაშვილი 71), წიტაიშვილი (თ.კაპანაძე 67), ზარია (ლუდუშაური 67), იაკობსენი (ბიძინაშვილი 46), ფლამარიონი (ჩაბრაძე 86)

ბათუმის დინამოს ჩინებული შანსი აქვს კონფერენსლიგის მეორე საკვალიფიკაციო ეტაპზე გავიდეს. ეს შანსი კიდევ უფრო დიდი იქნებოდა, რომ არა ბოლო წუთებზე ხელიდან გაშვებული მოგება.

ვერ ვიტყვით, რომ ზღვისპირელებმა კარგი თამაში აჩვენეს. თუმცა, მაინცდამაინც არც მეტოქეს აძლევდნენ ამის საშუალებას. ალბანელები ეპიზოდებში უფრო კარგად გამოიყურებოდნენ, მაგრამ არც ისეთი გუნდის შთაბეჭდილებას ტოვებდნენ, დაუმარცხებელთა რიგებში რომ ჩაგვეწერა. მეტიც, თუ ბათუმელები ტემპს მოუმატებდნენ, პირიქით შეეძლოთ დაესაჯათ.

ასეც მოხდა: 66-ე წუთზე საქართველოს ვიცე-ჩემპიონმა პირველი კარგი შეტევა განახორციელა და ანგარიშიც გახსნა – ბიძინაშვილი ფლანგზე რამდენიმე მცველს შორის კარგად გაისარჯა და მის პასს კარის წინ უმეთვალყუროდ დარჩენილი ფლამარიონი დაუხვდა დინამომ პირველივე შანსი გოლად აქცია.

იმავე ბიძინაშვილს გატანაც შეეძლო, მაგრამ მისი დარტყმული ბურთი ტირანას მეკარემ მოიგერია და გუნდი გადაარჩინა.

ალბანელებს სხვა გზა არ რჩებოდათ და მთელი ძალებით გადავიდნენ შეტევაზე. 82-ე წუთზე მასპინძლებმა ორი სახიფათო მომენტი შექმნეს, მაგრამ ბათუმელთა მეკარე ანტონ ჩიჩკანმა ორივეჯერ მოიგერია ბურთი და დინამო აშკარა გოლისგან იხსნა.

თუმცა, ზღვისპირელები გოლს ვერ გადაურჩნენ: მესამე დამატებულ წუთზე ალბანელებმა დინამოს მცველებს შეცდომა არ აპატიეს და არდიტ ჰილამ ახლოდან დარტყმით წონასწორობა აღადგინა.

საგარეო ფრე უფრო ბათუმელებისთვის უპირატესობაა. მთავარია, საშინაო მატჩი ითამაშონ კარგად, რომელიც 20 ივლისს „აჭარაბეთ არენაზე" გაიმართება.

**ტორპედო (საქართველო)-სარაევო (ბოსნია) 2:2**

**ქუთაისი. რამაზ შენგელია**

**1:0 სანდოხაძე (44), 1:1 ოლივეირა (47), 2:1 ბულრიძე (48), 2:2 ვარეშანოვიჩი (52)**

**ტორპედო:** კლიაიჩი, ქობულაძე (ჭიჭინაძე 89), მონტეირო, სანდოხაძე, ნადარაია, გიგაური, აკბარი, შერგელაშვილი, არაბიძე, ბულრიძე (მანჯგალაძე 71), ფანცულაია (კაბალიერო 78)

**სარაევო:** როგიჩი, ბეგანოვიჩი, ტრაკო, სოლდო, დურაკოვიჩი (რადოვიჩი 82), ჟელიკოვიჩი, ვრანჩიჩი (ბალტა 90), კიერემე (გულიაშვილი 77), ვარეშანოვიჩი (მუსტაფიჩი 81), ჟილიკიჩი (ვივეროსი 81), ოლივეირა

ხუთწლიანი პაუზის შემდეგ ევროტურნირზე დაბრუნებულმა ქუთაისის ტორპედომ საშინაო არენაზე ფრედ ითამაშა ბოსნიურ სარაევოსთან და შემდეგ ეტაპზე გასვლის შანსი დაიტოვა. მცირე, მაგრამ მაინც შანსი...

არადა, ტორპედომ მატჩი ძალიან ცუდად დაიწყო: მე-3 წუთზე სტუმართა კაპიტანმა ალმედინ ჟილიკიჩმა საგოლე მომენტი შექმნა, უძლიერესი დარტყმით ხარიხა შეაზანზარა; მალევე ანგარიშის გახსნა დალ ვარეშანოვიჩს შეეძლო, მაგრამ ბურთი მიზანს ააცილა; შემდეგ კიდევ ერთი დარტყმა და ტორპედო გოლს ისევ გადაურჩა.

და როდესაც პირველი ტაიმი მთავრდებოდა, გიორგი არაბიძის კუთ-

გაგრძელება მე-7 გვერდზე

# უიშვიათესი ალბინოსი ფარშევანგი ფერმიდან გაიქცა



კანადის კვებეკის პროვინციის ქალაქ მონრეალში პონი ფერმიდან გაქცევაში დაეხმარა უიშვიათეს ალბინოს ფარშევანგს.

ჰობი-ფერმის, რომელშიც დაახლოებით 40 ცხოველი ბინადრობს, მათ შორის ცხენები, ლამები, თხები და ფრინველები, მფლობელია გრემ ბეტი. მან ორი წლის წინ უიშვიათესი ორი ცალი თეთრი ფარშევანგი შეიძინა.

დილით ადრე ფერმერი უცნაურმა ხმებმა გააღვიძა, გარეთ გაიხედა და შენიშნა, რომ ფრინველები უკანა ეზოში იმყოფებოდნენ და არა სპეციალურ ბეღელში. აღმოჩნდა, რომ ფარშევანგებმა ბეღელს თავი პონის, სახელად სპარკლზის, დახმარებით დააღწიეს. მან ცხვირით გახსნა ბეღლის კარი, რომელშიც ფრინველები იმყოფებოდნენ. გრემმა ერთ-ერთი ფარშევანგის დაჭერა მოახერხა, მაგრამ მეორემ გაფრენა მოასწრო.

ამის შემდეგ თეთრი ფარშევანგის თემა იქცა მთავარი განხილვის საგნად ქალაქის მცხოვრებთა შორის. ბეტიმ რამდენჯერმე სცადა მისი ფერმაში დაბრუნება, თუმცა უშედეგოდ.

ზოოლოგმა ნიკოლა ფლემინგმა მოსახლეობას ურჩია, რომ თუ ფარშევანგს შენიშნავენ, მისი მიტყუება მზესუმზირის მარცვლებით სცადონ. ფერმერი კი ალბინოსი ფარშევანგის დაბრუნების იმედს არ კარგავს.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**



# განცხადებები

• მამაკაცებისთვის: სქესობრივი უძლურების, შარდ-სასქესო სისტემის ფუნქციათა მოწესრიგება, პროსტატის ჯირკვლის, ადენომის ზრდის შეჩერება-უკუსვლანორ მალიზება, პოტენციის აწევა, შარდის შეკავება-შეუკავებლობის, წვის, ტკივილის, ქავილის, გაორებული, წყვეტილი და უნებლიე შარდვის (ბავშვებშიც!) აღმოფხვრა, ქრონიკული სოკოვანი, ბაქტერიული, ვენერიული ინფექციებისგან გაწმენდა, რეპროდუქციული ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება სწრაფი კვლევებით. ტელ: 577-29-37-41 ან 234-02-38.

• ძვალ-სახსართა პრობლემების მოგვარება: კოქსართროზით, ოსტეოპოროზით, ოსტეოართროზით, პოდაგრით, სპონდილოზით და სხვა გამოწვეული დაზიანებული ხრტილის, გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა. სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების, შებოჭილობის, დაბუჟების, კრუნჩხვების მოხსნა, გაჯანსაღება საოპერაციო და უშედეგოდ ნაოპერაციები სახსრების 100%-ით ეკობიოპრეპარატებით, წონის კორექციით, ქოლესტერინისგან გაწმენდით, მრავალწლიანი გამოცდილებით. ტელ: 599-91-37-65 ან 247-58-83.

• ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების სწრაფი მოხსნა – რეალური გამოსავალი!!! ნევროზის, დეპრესიის, შიშების, უძილობის, აკვიატებული აზრების, აგრესიის, „თეთრი ცხელების", ძილის პროცესების დარღვევის, მეხსიერების დაბინდვა-დაქვეითების მოწესრიგება გონებრივი შესაძლებლობების აღდგენით, ღვიძლისა და სისხლის გაწმენდა (დეტოქსიკაცია) საჭირო კვლევებით. ტელ: 599-72-21-38.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ბრძოლა და მარცხი ზელანდიასთან

**საქართველო-ახალი ზელანდია 26:50**

სტელენბოში. დენი ქრეივენ სთედიუმი

უმცროსმა ბორჯღალოსნებმა 33-ქულიანი ჩამორჩენის შემდეგ ახალ ზელანდიას გასაოცარი 35 წუთი შესთავაზეს, 26 უპასუხო ქულა გაუკეთეს, სხვაობა ერთ გარდასახულ ლელომდე დაიყვანეს და თავმოყვარე მეტოქეს ჯარიმის კარში დარტყმა აიძულეს.

ამას მოჰყვა მეტოქის კიდევ ორი ლელო და მსოფლიო რაგბის 20-წლამდელთა ჩემპიონატის დასკვნით შეხვედრაში, მე-7 ადგილის ფინალში უმცროსმა ოლ ბლექსმა 50:26 გაიმარჯვა. შედეგის მიუხედავად, საქართველომ ჩემპიონატი სარეკორდო მე-8 ადგილზე დაასრულა.

თავად ჩემპიონატის გარდა, ჩვენი გუნდისთვის კონკრეტულად ეს თამაშიც ისტორიული და გამორჩეული იყო. 20-წლამდელთა ჩემპიონატზე ახალ ზელანდიას მესამედ შევხვდით და პირველად გავუტანეთ 4 ლელო და 26 ქულა. რაც მთავარია, მორაგბეებმა იგრძნეს, რომ არავინაა უძლეველი. თუნდაც – ახალი ზელანდია. შეუძლიათ ლელოების გატანა და ნებისმიერ გუნდთან სრული სათამაშო უპირატესობის მოპოვება.

ძალიან ცუდი დასაწყისის მიუხედავად და 33-ქულიანი ჩამორჩენის შემდეგ, გუნდი არ გატყდა და ცოტა ხნით სტელენბოშში სენსაციის სუნი დატრიალდა. თუმცა, თამაშის საბოლოოდ გარდატეხა ვერ მოხერხდა.

მატჩის დებიუტში უმცროსმა ბორჯღალოსნებმა მეტოქე შერკინებაში დააჯარიმეს და კარგი შესატევი პლაცდარმი შეიქმნეს, მაგრამ რაქიდან გამოვარდნილ ბურთს მეტოქის კონტრშეტევა მოჰყვა, რაშიც ზელანდიელები შეუდარებელნი არიან და 80-მეტრიანი სპრინტი ტანგიტაუს ლელოთი დასრულდა. მე-10 წუთზე სამხრეთელებმა მაღალ სისწრაფეზე ფაზები აკინძეს, გარკვეული პერიოდით თავი დავიცავით, მაგრამ გადაწყობა ველარ მოვასწარით – 0:14.

მე-17 წუთზე ფეხით თამაშის შემდეგ ტანგიტაუმ თავისი მეორე ლელო გაიტანა. 25-ე წუთზე დერეფნის შემდეგ ხაზი სუფთად გაიჭრა და მორიგი ლელო გავიდა, თამაშის განახლებისთანავე კი, ზელანდიელებმა ხელდახელ ლამაზი შეტევა მეხუთე ლელოთი დაასრულეს – 0:33.



ასეთი შოკიდან გამოსვლა ნებისმიერ გუნდს გაუჭირდებოდა. ეს ერთი შეხედვით შეუძლებელი, უმცროსმა ბორჯღალოსნებმა შეძლეს. ჩვენს თავგანწირულ შეტევებს ჯარიმა მოჰყვა, დერეფნიდან მოლი ვერ ჩამოვაყალიბეთ, მაგრამ ბასა ხონელიძემ ჭკვიანურად ითამაშა და თავად შეუტია და ლელოდან ორ მეტრში შეაჩერეს, ბურთი ხაზზე გავიდა, ოვალი ხელდახელ კარგად გავათამაშეთ და ვაჟა მიქაძემ პირველი საპასუხო ლელო გაიტანა, პეტრე ხუციშვილმა კი გარდასახა.

ამის შემდეგ საქართველო სრულად დაეუფლა ინიციატივას. უმცროსი ბორჯღალოსნები დომინირებდნენ შერკინებაში, უშეცდომოდ ირჯებოდნენ დერეფანში და სრულ უპირატესობას ფლობდნენ მოლში. თითოეული მორაგბე ძალიან კარგი იყო კონტაქტის არეში და 35-ე წუთზე, ფორვარდების დარტყმების სერიას აკეს სინბინი მოჰყვა. პოზიცია დასარტყმელი იყო, მაგრამ ხუციშვილმა ბურთი აუტში გადაიტანა, მოლმა დაახლოებით 10 მეტრი დაფარა და ხონელიძემ მატჩში თავისი პირველი ლელო გაიტანა. ხუციშვილმა რთული პოზიციიდან გარდასახა და ტაიმი 14:33 დასრულდა.

როგორც ჩანს, ტაიმის ასეთმა დასასრულმა გუნდს საკუთარი თავის რწმენა კიდევ უფრო გაუღრმავა და მეორე ტაიმის საწყისი 25 წუთი სიტუაციას სრულად აკონტროლებდა. საქართველო აკონტროლებდა ბურთს, ტერიტორიას, უდიდეს უპირატესობას ფლობდა მოლსა და შერკინებაში, ხაზი სახიფათოდ, ოფლოუდების სერიით უტევდა და 63-ე წუთზე სხვაობა ერთ გარდასახულ ლელომდე დავიდა.

ლელოს გატანამდე, 51-ე წუთზე, ქართველთა მოლმა დაახლოებით 20 მეტრი იარა. ამ პერიოდში ზელანდიელები ზედიზედ სამჯერ დაჯარიმდნენ და 10 წუთით კვლავ კაცნაკლული დარჩნენ. უმცროსმა ბორჯღალოსნებმა შერკინება ირჩიეს, ლაშა ლომიძის მიძალებისა და გიორგი გერგედავას წინსვლის შემდეგ კი სერგი აბრამიშვილი ლელოში შევიდა, მაგრამ მსაჯმა დამიწება ვერ დაინახა და ნაღდი ლელო ჩახურვისთვის გაგვიუქმა.

სამართალი 1 წუთში აღდგა. ზელანდიელებმა ბურთი თამაშში რომ შეიყვანეს ვაჟა მიქაძემ შეუტია და დაახლოებით 25 მეტრი იარა, რასაც 10 ფაზა მოჰყვა, მიქაძე მეტოქეს კიდევ ორჯერ მიეძალა, თორნიკე კახოიძემ ბურთი წინ წასწია, ირაკლი აფციაურმა კი დარჩენილი 5 მეტრი დაფარა და ლელო ძელებსშუა გაიტანა. ხუციშვილმა კარის წინიდან გარდასახა.

უმცროსმა ბორჯღალოსნებმა შეტევები გააგრძელეს, ხაზითა თუ ძალისმიერ სტილში, სახელოვან მეტოქეს არაფერი დაუთმეს და 63-ე წუთზე აგორებული მოლი ხონელიძის მეორე ლელოთი დასრულდა. ამჯერად გარდასახვა არაზუსტი იყო, თუმცა, სხვაობა 7 ქულამდე დავიდა.

და მაშინ, როდესაც საოცრებამდე ასე ცოტა რჩებოდა, 66-ე წუთზე დანიშნული ჯარიმის კარში დარტყმა ზელანდიამ აღარ ითაკილა და მეორე ტაიმში ქულების აღების პირველივე შესაძლებლობა გამოიყენა. მოედანზე დიდი ბრძოლა გაჩაღდა, 71-ე წუთზე მეტოქემ მოახერხა ხაზის გაჭრა და ლელო-გარდასახვით უპირატესობის გაზრდა, სულ ბოლოს კი შალვა აფციაურს ბურთის ჩაჭრა არ გამოუვიდა, რის გამოც თავად სინბინით დაისაჯა, ახალმა ზელანდიამ კი საჯარიმო ლელო მიიღო და 50:26 გაიმარჯვა.

**ლადო კილასონია, მთავარი მწვრთნელი:**

– ჩვენ კარგად ვიცოდით, რაში იყო სახიფათო ახალი ზელანდია – ეს არის ცუდად დარტყმული ფეხი და დაგვიანებული ახურვა, სწრაფი ბურთი და კონტრშეტევა. პირველ 30 წუთში სამივე ამ კომპონენტში ძალიან ბევრი შეცდომა დავუშვით, რამაც მეტოქეს ძალიან წინ გაჭრის შესაძლებლობა მისცა. მე ამაყი ვარ ამ ბიჭების ხასიათის, რადგან ისინი არ გატყდნენ, იმ დეტალებს მიაქციეს, რაზეც მზადებისას ვამახვილებდით ყურადღებას და დაბრუნდნენ თამაშში. მსოფლიოში ბევრი არაა ისეთი გუნდი, რომელიც 0:33 ჩამორჩენის შემდეგ ასე ახლომდე დაიყვანს სხვაობას. მერე იყო მსაჯის მხრიდან ისეთი გადაწყვეტილებები, რომლებიც ჩემში კითხვის ნიშნებს აჩენს. ამიტომ დანარჩენი შეფასებისგან ამ ეტაპზე თავს შევიკავებ.

**ლაშა ციხისთავი, გუნდის კაპიტანი:**

– ვფიქრობ კარგი რაგბი ვითამაშეთ და მთელ მსოფლიოს დავანახეთ, რომ ნებისმიერ გუნდთან, ყველა კომპონენტში თანაბრად თამაში შეგვიძლია, მოლსა და შერკინებაში კი, საქართველო, უბრალოდ, საუკეთესოა. იმედი მაქვს, მომავალი თაობა ჩვენს ისტორიულ შედეგს კიდევ უფრო გააუმჯობესებს. გვქონდა შანსი, თასის ნახევარფინალში გვეთამაშა, საბოლოოდ მე-8 ადგილი დავიკავეთ, მაგრამ ესეც ძალიან კარგი შედეგია.

რაც შეეხება ახალ ზელანდიასთან თამაშს, თავიდან ერთგვარი შოკი გვქონდა, მაგრამ მერე ჩვენი თამაში ვიპოვეთ და პირველი ტაიმის ბოლოს და მეორე ტაიმში ვდომინირებდით. სამწუხაროდ, მერე რამდენჯერმე დავჯარიმდით და მეტოქემ ეს გამოიყენა.

დაბოლოს, მინდა ვთქვა რომ საქართველო არ მიმაჩნია ტიერ 2 სარაგბო ქვეყანად, ჩვენ ვართ ტიერ 1 და ვფიქრობ, განვლილი თამაშებიდან ეს ყველამ დაინახა.

# სამი მატჩი, სამი შანსი

**დასაწყისი მე-6 გვერდზე**

ხურს საჯარიმოში მყოფი ცენტრალური მცველი ნიკა სანდოხაძე დაუხვდა, რომელმაც, კარისკენ ზურგით მდგომმა, „მაკრატელას" მსგავსი დარტყმით ანგარიში გახსნა.

მეორე ტაიმის დასაწყისი უხვგოლიანი და უსიამოვნო იყო: 47-ე წუთზე რენან ოლივეირამ ქუთაისელთა დაცვის ჩავარდნით ისარგებლა და ანგარიში გაათანაბრა; ერთ წუთში ირაკლი ბუღრიძემ ფლანგზე კარგად ითამაშა და მეკარეს დაბალ ახლო კუთხეში გაუტანა – 2:1; გავიდა კიდევ 3 წუთი ბოსნიელებმა ანგარიში ისევ გაათანაბრეს – ჟილიკიჩის ფლანგური ჩაწოდების შემდეგ ვარეშანოვიჩმა ტორპედოს მეკარეს დაასწრო – 2:2.



ამის შემდეგ, ქუთაისელებმა დიდი ძალებით შეუტიეს: ლაშა შერგელაშვილმა ზედიზედ ორჯერ ძალიან სახიფათოდ შეასრულა საჯარიმო და სარაევო მეკარემ გადაარჩინა. მალევე არაბიძემ კარს სანტიმეტრებში აცილა; 69-ე წუთზე, ბუღრიძის შესანიშნავი პასის შემდეგ, ფანცულაიას მართებდა გატანა, მაგრამ მომენტი გააფუჭა; გიორგი ქობულაძის დარტყმულზე კვლავ მეკარემ იყოჩაღა; რამდენიმე წუთში იმავე ქობულაძემ მახვილი კუთხიდან ხარიხას მოარტყა ბურთი.

ამ მომენტებმა დაგვანახა, რომ საპასუხო მატჩს, რომელიც 20 ივლისს ბოსნიის დედაქალაქ სარაევოში გაიმართება, ტორპედო მთლად უშანსოდაც არ უნდა იყოს...

**დუნაისკა სტრედა (სლოვაკეთი)-დილა (საქართველო) 2:1**

**დუნაისკა სტრედა. მოლ არენა**

**1:0 ტრუსა (33), 2:0 რამადანი (36), 2:1 კოვტალიუკი (43)**

**სტრედა:** პეტრაში, პინტუ, რიზვანისი, ბრუნეტი, ანძუანა, კაჩერი (გავრიჩი 72), დიმუნი, კალმარი (ვიტალისი 72), ტრუსა (ვესელოვსკი 85), რამადანი, კრსტოვიჩი

**დილა:** კუჩერენკო, ჩიტეიშვილი, ძოწენიძე, ეტოუ (თევზაძე 87), სილვა, ჟან ვიქტორი, სანტოსი, ფარულავა (სარდალიშვილი 64), გომისი (მზვაკალი 72), გეილი, კოვტალიუკი (ს.კუხიანიძე 64)

გორის დილამ სტუმრად მინიმალური ანგარიშით წააგო სლოვაკურ დუნაისკა სტრედასთან და შემდეგ ეტაპზე გასვლის შანსი დაიტოვა.

დილა ერთადერთი ქართული გუნდია ამ ევროტურნირებზე, რომელმაც წააგო, მაგრამ ყველაზე საინტერესო ფეხბურთი ითამაშა. მეტიც, ცოტა რომ გამართლებოდა, იქნებ ბევრად უკეთესი ანგარიშიც წამოეღო.

დასაწყისში დილა უკეთესი იყო. მერე უკვე სლოვაკები გააქტიურდნენ და მოკლე მონაკვეთში ორი ბურთის გატანა მოახერხეს: 33-ე წუთზე მატრი ტრუსამ ანგარიში გახსნა; სამ წუთში სლოვაკებმა შესანიშნავი კომბინაცია გაათამაშეს და ამარ რამადანიმ ლამაზი გოლი გაგვიტანა.

გორელთა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ორბურთიანი ჩამორჩენის მიუხედავად, არ გატყდნენ და ტაიმის დასრულებას აღარაფერი აკლდა, როდესაც თორნიკე ძოწენიძის კარგი პასის შემდეგ მიკოლა კოვტალიუკმა მახვილი კუთხიდან სხვაობა შეამცირა.

მეორე ტაიმში გორელთა სახიფათო კონტრშეტევები მეტოქეს პრობლემებს უქმნიდა. მასპინძლებმა შედეგზე დაიწყეს თამაში. მსაჯის მიერ კონპენსირებულ მეშვიდე წუთზე უნდა გაგვეტანა – გორელთა ბარბადოსელმა ლეგიონერმა, ტიერი გეილმა კარგად დაარტყა, მაგრამ მასპინძელთა მეკარემ დიდებულად ითამაშა და ბურთი კუთხურზე გადააგდო...

ამ ბარიერის დაძლევის შანსი დილას ნამდვილად აქვს. ეს კი, 20 ივლისს „თენგიზ ბურჯანაძეზე" შეიძლება...

*მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა*

**სამგლოვიარო და მისალოცი განცხადებები მიიღება**
**ტელ.: 599-532-690 – 12-დან 17 საათამდე**

# უეფას მადლობა საქართველოს

უეფა-ს პრეზიდენტმა ალექსანდერ ჩეფერინმა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტს, ლევან კობიაშვილს 21 წლამდე ევროპის ჩემპიონატის წარმატებით ჩატარებისთვის მადლობა გადაუხადა.



სფფ-ის პრეზიდენტისთვის გამოგზავნილ წერილში ალექსანდერ ჩეფერინი ხაზს უსვამს საქართველოში განხორციელებული ინფრასტრუქტურული პროექტების მნიშვნელობას და ტურნირის მიმდინარეობისას დამყარებულ რეკორდებს.

– მინდა გამოვხატო ჩემი გულწრფელი მადლიერება საქართველოს ფეხბურთის ფედერაციისა და პირადად თქვენდამი იმ ფასდაუდებელი წვლილისთვის, რომელმაც საოცარი წარმატება მოუტანა ამ ტურნირს.

გულთბილი ქართული მასპინძლობა, ულამაზესი მასპინძელი ქალაქები და გამართული სპორტული ინფრასტრუქტურა, ისევე, როგორც თქვენი გუნდის მომნუსხველი თამაშის სტილი, დაგვირგვინდა ქართული გუნდის მატჩებზე მასშტაბური დასწრებით, რამაც, ზედიზედ სამჯერ შეუწყო ხელი 21-წლამდე ევროპის ჩემპიონატზე დასწრების რეკორდის დამყარებას. შედეგად, 2023 წლის 21-წლამდე ევროპის ჩემპიონატი ისტორიაში ჩაიწერება, როგორც ყველაზე მაღალი ჯამური დასწრების მქონე ღონისძიება.

ამაღელვებელი თამაში, რომელიც მრავლად ვიხილეთ ამ ჩემპიონატზე, ჩვენს მეხსიერებაში დიდი ხნით დარჩება ულამაზეს მოგონებად. ამასთან, ეს ღონისძიება უფრო ხანგრძლივი ეფექტის მქონე იქნება იმ მნიშვნელოვანი ინვესტიციის გამო, რომელიც დროისა და ფინანსური რესურსით გამოიხატა, რაც არსებული ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციას და ახალი სპორტული ობიექტების მშენებლობას მოხმარდა.

სახელდობრ, ორი არსებული სტადიონით – თბილისში მიხეილ მესხის სახელობისა და ქუთაისში რამაზ შენგელიას სახელობის – ისევე, როგორც ხუთი ახალი, უმაღლესი დონის სამწვრთნელო ბაზით მთელი ქვეყნის მასშტაბით, მნიშვნელოვანი წვლილი იქნა შეტანილი ევროპის ჩემპიონატის საერთო წარმატებაში. დარწმუნებული ვარ, რომ ეს ინფრასტრუქტურული ობიექტები კიდევ უფრო მაღალ დონეზე აიყვანს ქართულ ფეხბურთს.

თქვენი ხედვა და ზრუნვა, ისევე, როგორც თანამასპინძელი რუმინეთისა, განაპირობებდა ამ ღონისძიების უდიდეს წარმატებას, რამაც სასიამოვნო და დასამახსოვრებელი ატმოსფერო შექმნა ყველა მონაწილისთვის, მათ შორის ფეხბურთელებისთვის, ადმინისტრაციული თანამშრომლებისა და გულშემატკივრებისთვის.

## კროსვორდი ბ

**შვეულად:** 1. ჰოლივუდის კინოვარსკვლავი რეჟისორი მამაკაცი; 2. მდგომარეობა ჭიდაობაში; 3. საფოსტო მარკების შეგროვება; 4. ერთ-ერთი კონტინენტი; 5. ექიმის სპეციალობა; 10. კათოლიკური რელიგიური საგალობელი; 11. კათოლიკური ეკლესია პოლონეთში; 12. საცხოვრებელი მასივი თბილისში; 13. ქართველი მოდელიორი ქალი; 16. ვარსკვლავთა მთლიანი სისტემა; 17. უკრაინის პრეზიდენტი; 19. ძველებური სასროლი-საბრძოლო იარაღი; 21. მეტალურგიაში ნარევი, რომელსაც უმატებენ მადანს დნობის დასაჩქარებლად; 23. გერმანული ავტომობილი.

**თარაზულად:** 6. უცხოელებისა და ყოველივე უცხოურის სიძულვილი; 7. ტბა გულრიფშის რაიონში; 8. მდინარე ყვარელში; 9. პირველი მსოფლიო ჩემპიონი ჭადრაკში მამაკაცთა შორის; 14. ინგლისის ფეხბურთელთა გუნდი; 15. ზღვისპირა კურორტი აჭარაში; 18. კუნძულოვანი სახელმწიფო ხმელთაშუა ზღვაში; 20. მოოქროვილი ვერცხლის ნაკეთობა; 22. მუსიკალური ფრაზის გამეორება სხვა ხმით ან სხვა ტონალობით; 24. აეროპორტი ქაიროში; 25. ლიეტუვის დედაქალაქი; 26. ჩეხი იუმორისტი მწერალი.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*



## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. ქვანახშირი; 2. კუპაჟი; 3. მუხიანი; 4. თრუსო; 5. დედვეიტი; 6. აიეტი; 7. შამგონა; 9. ხორუმი; 13. ჩეიზი; 17. ვერე; 18. აბე.

**თარაზულად:** 1. ქრონიკა; 3. მახათა; 8. ტეკილა; 10. მარჩილი; 11. გაყრა; 12. კოპტები; 14. იშემია; 15. ენისელი; 16. ტყვია; 19. კოზაკი; 20. დიონისე; 21. შეკელი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. კოსტიოლი; 2. სუფლე; 3. გუჯაბიძე; 4. ფიგარო; 7. სქური; 9. ფსოვი; 12. ადრენალინი; 14. ვენერა; 15. ისტმენი; 17. არქტიკა; 20. ფიალა.

**თარაზულად:** 5. მოლაღური; 6. მაუზერი; 8. ქულბაქი; 10. კაროტინი; 11. გლაქსო; 13. ავენიდა; 16. რიგოლეტო; 18. კრონა; 19. ატენი; 21. ჰიტროუ; 22. ენდშპილი; 23. კრიკინა.

ახალი თაობა
Akhali Taoba
akhalitaoba.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

17 ივლისი

აშშ დოლარი — 2.5771

ევრო — 2.8910

დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი — 3.3778

100 რუსული რუბლი — 2.8696




## იუვენტუსს ფრენკ კესის შეძენა სურს




ტურინის იუვენტუსს ბარსელონას ნახევარმცველის ფრენკ კესის შეძენა სურს და მზად არის, ამ ტრანსფერში 30 მილიონი გადაიხადოს. დიდი ალბათობით ტრანსფერი განხორციელდება, რადგან ბარსელონას კესის გაყიდვა სურს, თუმცა, ფეხბურთელს არ უნდა კატალონიური გუნდის დატოვება. კესი ბარსელონამდე მილანის ღირსებას იცავდა. ასე რომ, იტალიური ფეხბურთი მისთვის კარგად არის ნაცნობი.

## გიორგი ლოჩოშვილი შესაძლოა რაიო ვალეკანოს ფეხბურთელი გახდეს

კრემონეზესა და საქართველოს ნაკრების ცენტრალური მცველის გიორგი ლოჩოშვილის შეძენით ესპანური რაიო ვალეკანო დაინტერესდა.

კრემონეზე სერია ბ-ში გავარდა, ამიტომ ლოგიკურია, რომ გიორგის გუნდის დატოვება სურს. რაიო ვალეკანომ კარგი სეზონი ჩაატარა და მათ ცოტა დააკლდათ ევროპის ლიგამდე. უახლოეს დღეებში გუნდები აქტიურად შეუდგებიან მოლაპარაკებებს ტრანსფერის შესახებ.

## ბუდუ ზივზივაძემ შესაძლოა კარლსრუე დატოვოს



ბუდუ ზივზივაძე დიდი ალბათობით გერმანულ კარლსრუეს დატოვებს, რადგან მას სხვა გუნდისგან აქვს შეთავაზება. ეს ინფორმაცია, თვითონ კარლსრუეს ხელმძღვანელობამაც დაადასტურა.

გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ბუდუს შეძენა სხვა გერმანულ კლუბს სურს, თუმცა, გუნდის სახელი ცნობილი არ არის. ზივზივაძემ გასულ სეზონში 27 შეხვედრაში 9 გოლი გაიტანა.

**მოამზადა ბექა გოგინაშვილმა**

## იუმორი

ორი ნაცნობი საუბრობს. ერთი მეორეს ეუბნება:

– ლუდს საჭმლის მომნელებელი სისტემის მუშაობის გასაუმჯობესებლად ვსვამ, თეთრ ღვინოს – უმადობის დროს, დაბალი წნევის დროს – წითელ ღვინოს, მაღალი წნევის დროს – კონიაკს, ანგინის დროს – არაყს.

– და წყალს?

– მასეთი დაავადება ჯერ არ მქონია.

•••

დედა შვილს ეუბნება:

– დღიური ისევ ცუდი ნიშნებით გაქვს სავსე! ამჯერად რით გაიმართლებ თავს?

– ჯერ კიდევ არ ვიცი, მემკვიდრეობითობის ბრალია თუ ოჯახური გარემოსი.

•••

თანამშრომელი, რომელმაც ესესაა ხელფასი აიღო, ბუღალტერს ეუბნება:

– თქვენ 20 ლარი დამაკელით!

– ყველაფერი სწორია, სამაგიეროდ, წინა ხელფასზე 20 ლარით ზედმეტი რომ აიღეთ, მაშინ რატომ არ ამოიღეთ ხმა?

– იმიტომ, რომ ერთხელ შეგეშალათ და ამაზე თვალის დახუჭვა შეიძლებოდა, მაგრამ მეორედაც უკვე მეტისმეტია!

•••

ერთი მეგობარი მეორეს ეუბნება:

– იცი, პროგრამისტისა და ჯადოქრის სამუშაოს ბევრი საერთო აქვს.

– მასე რატომ ფიქრობ?

– ორივე გაუგებარ სიტყვებს ბურტყუნებს, აუხსნელ ქმედებებს ასრულებენ და მერე ვერაფრით ხსნიან, ეს ყოველივე როგორ მოქმედებს.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## გია ფერაძის შვილი მარიკუნა მიქატაძე საბერძნეთში გარდაცვლილი იპოვეს

**მსახიობ გია ფერაძის შვილი 39 წლის მარიკუნა მიქატაძე საბერძნეთში გარდაცვლილი იპოვეს.**
**უკანასკნელი ცნობები დაინტერესებულ საზოგადოებას ნანუკა ჟორჟოლიანმა მიაწოდა:**

– ვრცელდება ათასი ჭორი მარიკუნას გარდაცვალებაზე. ჭორები, მისი ცხოვრების ქექვა, გარჩევა იყო მისი მთავარი კარმა, რასაც ისე გაექცა, ისე გაექცა...

საბერძნეთის პოლიცია არკვევს ნამდვილ მიზეზს. ექსპერტიზის პასუხია მთავარი, რასაც ელოდებიან მეგობრები. ამიტომ, აქამდე გავრცელებული ყველა ვერსია ტყუილია.

მართალია მხოლოდ ის, რომ მარიკუნა გარდაცვლილი იპოვეს საბერძნეთში, ქუჩაში. იყო მარტო. ბრუნდებოდა სახლში.

– სანამ ჩემს განსჯას დაიწყებ, იცხოვრე ისე, როგორც მე ვცხოვრობ და თუ იქამდე მიხვალ, სადამდეც მე მივედი, იქნებ დაინახო, რამდენად ძლიერი ვარ, – მისი ბოლო თხოვნა ეს იყო და იქნებ ახლა მაინც შეუსრულოთ.



**სოფო ნიჟარაძე, მომღერალი:**

„ვარსკვლავი შენი სახეა, ჩემი ფიქრები შენს ფიქრებს ჰგავს, ასე იყო და ასეა, ჩემი ლამაზი ოცნება ხარ, მოვალ და გეტყვი, თუ როგორ მიყვარხარ" – ეს სტროფი იმ სიმღერიდანაა, რომელზეც ტექსტი მარიკუნამ 15 წლისამ დაწერა და მე შევასრულე. ახლაც თვალწინ მიდგას მისი მართლა ვარსკვლავი სახე და ყურში ჩამესმის მისივე წამღერებული ეს სიმღერა.

**ნატალია ქუთათელაძე, ოპერის მომღერალი:**

– ჩემი ბავშვობა, ჩემი ყველაზე მკაფიო მოგონებები, რომელიც დაკავშირებულია ყველაფერთან, რაც მაშინ ჩემთვის აკრძალული იყო ან დაუშვებელი ან უბრალოდ ასაკთან შეუფერებელი, დილამდე გაუჩერებელი სიცილი, საფრთხის შეგრძნება, თან ამ დროს ინტერესი, რისკიანობა, წვერში გატარებული ზაფხულები. ამავე დროს მარიკა და ჯუნა, სიყვარულის მორევი, ზრუნვა, მოფერება, სიმღერა, ჯუნას ჯუჯღუნი, ღამე დარჩენის გამო გაცდენილი სკოლა, მერე უცებ ჩვენი დასჯა, მარიკას ულამაზესი ხელები, ცისიას წვალება, გაუთავებელი ცეკვა, მუსიკა აღრიალებული ყველგან, მუდმივად შეყვარებული ბიჭები, მერე ჩხუბი, ყვირილი, მერე ისევ სიცილი, სიგიჟე, ბრაზი, მერე ისევ სიცილი, ჩახუტება... აი ეს ყველა სიტყვა და ემოცია უკავშირდება ჩემს მოგონებებს მარიკუნასთან.

დიდხანს მეგონა ალბათ იგონებს რაღაცას და გვაგიჟებს-თქო. თან გიბრაზდები და თან გული მისკდება! ერთი კი დანამდვილებით ვიცი, იქით ის ადამიანები გელოდებიან, ვისაც შენ ყველაზე მეტად უყვარხარ!

პ.ს. 1985 წლის 19 მარტს გია ფერაძის ოჯახში გაუგონარი ტრაგედია დატრიალდა, რომელმაც მთელი საქართველო შეძრა. მსახიობი გია ფერაძე და მისი მეუღლე, ცნობილი მხატვრისა და მოქანდაკის შვილი ირინა მიქატაძე ტრაგედიის წინა დღეს გუდაურიდან თბილისში დაბრუნებულან.

გაურკვეველია დაზუსტებით, რა მოხდა იმ დაწყევლილ ღამეს, გია შინ დაახლოებით ღამის სამ საათზე დაბრუნებულა, მეუღლე ამის გამო განაწყენებია, უსაყვედურებია და უთანხმოება მოსვლიათ, შემდეგ მოხდა ის, რომ გიას მინიატურული, კალმის ფორმის იარაღიდან, რომელსაც, თურმე სიგარეტთან ერთად იდებდა ჯიბეში, გასროლილმა ხუთ მილიმეტრიანმა ტყვიამ, რომელიც მინასაც ვერ გატეხდა, ახლო მანძილიდან 26 წლის ირინა მიქატაძის გულში გაიარა, აორტაში მოხვდა და მოკლა, ხელში ცოლჩამკვდარმა იარაღი ლუმელში დამალა, ცოლის ცხედარი ლოგინზე დააწვინა, თითქოს ეძინა და სახლიდან უჩუმრად გაიქცა, დილით დაბრუნდა და პოლიციას ჩაბარდა.

შემდეგ, ზოგი ამბობდა, ცოლი განზრახ მოკლაო, ზოგი ამბობდა, ცოლზე უსაზღვროდ იყო შეყვარებული, ალბათ გაუფრთხილებლობით მოუვიდაო, შემოაკვდაო.

ამ ტრაგედიის დროს გიასა და ირინა მიქატაძის ქალიშვილი მარიკა 11 თვის იყო. ბაბუამ ჯუნა მიქატაძემ და მისმა ბებიამ მარიკა საყვარელიძემ ის შვილივით გაზარდეს. მარიკუნამ 6 წლისამ გაიგო ეს ფაქტი, როგორც თვითონ აღნიშნავს ერთ-ერთ ინტერვიუში.

გია 37 წლის იყო, როცა დააპატიმრეს, 7 წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა, 2 წელი მკაცრი რეჟიმის კოლონიაში გაატარა, 5 წელი კი ციმბირში და იაკუტსკში, სიმამრი მკაცრად აკონტროლებდა, რომ მას ბოლომდე მოეხადა სასჯელი. იაკუტსკში ყოფნისას თავისი 4 წლის ვაჟთან ერთად მიუკითხავს ირინა კუზუბოვა-ფერაძეს, რომელთანაც ხელი მოუწერია, რომ ციხეზე შეეშვათ.

პატიმრობისას გიამ 30-მდე რვეული გაავსო ლექსებით. ციხიდან 1993 წელს, 45 წლის ასაკში გამოვიდა ტუბერკულოზით დაავადებული. გათავისუფლების შემდეგ, გალოთებული, 2 წელში, 1995 წლის 20 დეკემბერს, 47 წლის ასაკში გარდაიცვალა გია ფერაძე. მაშინ მარიკუნა 13 წლის იყო, რომელსაც ცოცხალი მამა ნანახი არ ჰყოლია, ბებია და ბაბუა ცდილობდნენ არ შეხვედრებინათ, მამის დაკრძალვაზე რატომღაც გაუშვეს.

## ქალი ქორწილიდან რამდენიმე დღეში საყვარელთან ერთად გაიქცა

ინდოეთის კარნატაკას შტატში ქალმა ქმარი მიატოვა, ძვირფასეულობა აიღო და საყვარელთან ერთად გაიქცა. ეს ყოველივე კი ქორწილიდან რამდენიმე დღეში მოხდა.

31 წლის სანკეტ შეტიმ პოლიციას განცხადებით მიმართა, რომელშიც აღნიშნულია, რომ მისი ცოლი სპურტი, რომელზეც არც ისე დიდი ხნის წინ იქორწინა, საყვარელთან ნავინ მაისურუსთან ერთად გაიქცა. გარდა ამისა, მიტოვებულმა მამაკაცმა ცოლი მილიონი რუპიის ღირებულების ბრილიანტის ყელსაბამის, ოქროს ჯაჭვის, სამაჯურებისა და მისი დედის ყელსაბამის მოპარვაში დაადანაშაულა. მისი თქმით, ის შეეცადა ქურდობის მცდელობა აღეკვეთა, მაგრამ ცოლი მას დაემუქრა, რომ მას და მის მშობლებს თითქოსდა მის მიმართ ჩადენილი ძალადობის გამო უჩივლებდა და ყველას ციხეში გაუშვებდა.

მოგვიანებით გაირკვა, რომ ქალის მშობლებმა და ბიძამ იცოდნენ მისი მაისურუსთან რომანის შესახებ, თუმცა მაინც შეტის მიათხოვეს. სპურტი ხშირად მიდიოდა მშობლებთან და ყოველდღე უკავშირდებოდა საყვარელს ვიდეოკავშირის გამოყენებით, მიუხედავად მეუღლის უკმაყოფილებისა.

ადგილობრივმა პოლიციამ მომხდარის გამოძიება დაიწყო.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## ანიტა რაჭველიშვილმა შემოქმედებითი პაუზა აიღო



ოპერის მომღერალმა ანიტა რაჭველიშვილმა ჯანმრთელობის გაუარესების გამო, შემოქმედებითი პაუზა აიღო და ივნისიდან მსმენელს დაემშვიდობა:

– დიდი დრო გავიდა, რაც ბოლო ინფორმაცია მოგაწოდეთ ჩემ შესახებ. ამის მიზეზი გახლავთ ის, რომ ძალიან ავად ვიყავი. ბოლო წლები ჩემთვის ყველაზე რთული იყო. ჩემი ჯანმრთელობა სულ უფრო უარესდებოდა, თუმცა, ვცდილობდი, ვყოფილიყავი მხნედ და მემუშავა ჩემი ოჯახისთვის, ჩემი პატარა ანგელოზი შვილისთვის, ოპერისა და საყვარელი საქმისთვის.

ძალიან, ძალიან ვცდილობდი, მაგრამ უძლური აღმოვჩნდი. ამიტომ მივიღე გადაწყვეტილება, ივნისის დასაწყისიდან შემოქმედებითი პაუზა ამეღო და საკუთარი თავისთვის მიმეხედა. ძალიან ვწუხვარ. ეს ძალიან რთული გადაწყვეტილებაა.

ახლა თავს უკეთესად ვგრძნობ. ჩემს ჯანმრთელობაზე ექიმების საუკეთესო გუნდი ზრუნავს და ძალიან მალე დავბრუნდები. ჩემს ისტორიას ძალიან მალე მოგიყვებით და ბევრს გესაუბრებით იმ პრობლემებზე, რაც შეიძლება ქალებს გვაწუხებდეს.

დიდი მადლობა მინდა ვუთხრა ჩემს მეუღლეს, ოჯახს, მეგობრებს, ადამიანებს, რომლებიც ყოველთვის მხარს მიჭერდნენ და გვერდით მედგნენ ყველაზე რთულ პერიოდებში. უბედნიერესი ვარ, რომ ჩემს ცხოვრებაში არიან არაჩვეულებრივი ადამიანები და ბედნიერად და დალოცვილად ვგრძნობ თავს.

ყველას გისურვებთ ჯანმრთელობას და ბედნიერებას და მომავალ შეხვედრამდე სცენაზე.

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

## კროსვორდი ა



**შვეულად:** 1. ჯარისკაცების საცხოვრებელი შენობა სამხედრო ნაწილში; 2. თაღლითი, რომელიც რაიმეს სპეციალისტად ასაღებს თავს; 3. მონასტერი რაჭაში; 4. მკვრივი ქანების სანგრევი ორწვეტიანი პირის მქონე რკინის იარაღი; 5. პოლონელი კომპოზიტორი, პიანისტი; 9. პატარა იუმორისტული საესტრადო პიესა; 11. ჟორჟ ბიზეს ოპერა; 12. ქართული ხალხური ზღაპარი; 14. ცხარე გემოს მქონე ფრანგული ყველი; 18. პოეტი-მომღერალი მუსლიმურ ქვეყნებში; 19. უალკოჰოლო გამაგრილებელი სასმელი.

**თარაზულად:** 4. თანამედროვე ქართველი მოქანდაკე; 5. ისტორიული ციხე-ქალაქი ზესტაფონის მახლობლად; 6. კუნძულოვანი სახელმწიფო ხმელთაშუა ზღვაში; 7. საადგილმამულო-საკრედიტო დაწესებულება ძველად საქართველოში; 8. ბრიტანული ფარმაცევტული ფირმა; 10. სპორტული ინვენტარის მწარმოებელი ამერიკული ფირმა; 13. ნახატი ზღვის ხედით; 15. ესპანეთის ძველი დედაქალაქი; 16. ტერიტორიული ერთეული საბერძნეთში; 17. აეროპორტი თელ-ავივში; 20. მაღალფეხიანი ბროლის ჭიქა შამპანურის დასალევად; 21. მოსაპირკეთებელი სამშენებლო მასალების მწარმოებელი ქართული ფირმა; 22. კურორტი ბორჯომის ხეობაში; 23. იაპონური მოტოციკლეტი.

**შეადგინა თ.გოგინაშვილმა**